# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 22 მარტი. 2023 წ. №33 (9565) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# მთვლემარე ვეშაპის გამოღვიძება




იხ. 3 გვ.

მაგრამ შეტევები, კორდონების გარღვევები და ტრუპები არ გამოუვიდათ, იმიტომ, რომ ის ზღვა ხალხი, ის ახალგაზრდობა მათ დაძახილზე არ იყო გამოსული და როგორ არ ეცადნენ, როგორ არ აბუნტეს ხალხი, საბოლოო მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს: ვერც ხელისუფლება დაამხეს და ვერც „ვივამედის“ პატიმარი გაათავისუფლეს, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, ქუჩაში გამოსული ხალხი არ მოქმედებდა მათი ბრძანებებისა და „ინსტრუქციების“ შესაბამისად.

# მრწამსის კონტროლის ანატომია

ვასილ მაღლაფერიძე:



4

იქნებ, მრწამსი შევიცვალოთ, დავასამინოთ მეზობრები, ავაღორძინოთ კოლექტიური „დანოსების“ პრაქტიკა, ვაღზინოთ შავი სიები, გავაღვიძოთ ადამიანებში ყველაზე ქვენა გრძნობები, წავბილწოთ ყველა ეროვნული ფასეულობა და ვიქცეთ ახალ ადამიანებად.

ჩვენც „შპიონ გავშვებად“ გადავიქცეთ და მოღალატეები და ხალხის მტრები ვექბნოთ?!



4

რონალდ რეიგანი:

# ეროვნულ ფასეულობებს ნუ დავახურდავებთ!

თუ ფაშიზმი ოდესმე მოვა ამერიკაში, ის მოვა ლიბერალიზმის სახელით!

# ქართული ჟურნალისტიკის დღეს გილოცავთ!

## თქვენი საქმიანობა საკვანძოა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ევროპული მომავლის მშენებლობისთვის



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მედიის წარმომადგენლებს ქართული ჟურნალისტიკის დღეს ულოცავს.

„ქართული ჟურნალისტიკის დღეს გილოცავთ თითოეულ ჟურნალისტს, მედიასაშუალებების ყველა თანამშრომელს.

საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობასა და პროფესიული ეთიკის მაღალ სტანდარტებზე დაფუძნებული თქვენი საქმიანობა საკვანძოა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და მისი ევროპული მომავლის მშენებლობისათვის. თქვენ არა მხოლოდ საზოგადოების ინფორმირების თავისთავად უმნიშვნელოვანეს საქმეს ემსახურებით, არამედ განსაკუთრებული წვლილი შეგაქვთ პოლიტიკური და საზოგადოებრივი კულტურის განვითარებაში, დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრებაში.

ჩვენი მთავრობა და პოლიტიკური გუნდი კარგად აცნობიერებს თქვენი პროფესიის უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. ამის დასტურია „ქართული ოცნების“ მიერ გატარებული რეფორმები, რომელთა შედეგადაც არსებითად გაუმჯობესდა მედიის პლურალიზმი და გაიზარდა თავისუფლების ხარისხი.

მადლობას გიხდით თქვენი შრომისთვის და წარმატებებს გისურვებთ თქვენს ძალიან მნიშვნელოვან საქმიანობაში“!

## ევროკავშირში ჟურნალისტები იცავენ რესპონდენტის უფლებებს და არ გადადიან შეტევაზე!

ვისურვებდი, ჟურნალისტებმა დააკმაყოფილოთ ის მინიმალური სტანდარტი, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებშია, სადაც ჟურნალისტები პატივს სცემენ ერთმანეთის აზრს, მათ შორის იცავენ რესპონდენტის უფლებებს და არ გადადიან შეტევაზე.

ღარიბაშვილის თქმით, ისურვებდა, რომ ეს სტანდარტი საქართველოში ეტაპობრივად დამკვიდრდეს.

„თქვენ ახსენეთ ევროინტეგრაცია და ვისურვებდი, რომ ჟურნალისტებმა ერთმანეთს, კოლეგებს პატივი უნდა სცეთ, უნდა დაელოდოთ რესპონდენტის პასუხს და ამის შემდეგ დასვათ დასაზუსტებელი კითხვები. ეს არის მინიმალური ევროპული სტანდარტი, რაც თქვენ უნდა დააკმაყოფილოთ“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# კაცი, რომელსაც უნდა იცნობდე...



7

სიმონ ნოზაძე 70

# ნოვრუზ ბაირამს ვულოცავ ჩვენს ძვირფას თანამოქალაქეებს!



**მინდა, ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღე. ნოვრუზ ბაირამს ვულოცავ ჩვენს ძვირფას თანამოქალაქეებს, ჩვენს ეთნიკურ აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს, ჩვენს ძმებს ყველგან, ჩვენს მოძმე აზერბაიჯანში, თურქეთში, ყველგან,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მარნეულში განაცხადა. პრემიერის თქმით, დღევანდელი დღე უკავშირდება მშვიდობას, კეთილდღეობას, სიხარულს, ყოველივე საუკეთესოს.

**„ყველას მინდა, მივულოცო დღევანდელი დღე, ვუსურვო მშვიდობა ჩვენს მოქალაქეებს, კეთილდღეობა, მეტი ბარაქა, მეტი სიხარული, სტაბილურობა და ყველაფერი საუკეთესო ჩვენს ხალხს. ეს მინდა ვუსურვო ჩვენს თანამოქალაქეებს. მინდა, დავუდასტურო ჩემი დიდი პატივისცემა და სიყვარული ჩვენს აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს, ძალიან მშრომელ ხალხს, ძალიან გონიერ ხალხს და მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ დღევანდელი დღე არის სიმბოლური იმითაც, რომ დღევანდელი დღე უკავშირდება მშვიდობას, კეთილდღეობას, სიხარულს, ყოველივე საუკეთესოს, რაც დღეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება და ჩვენს ხალხს სჭირდება“!**



# ევროკავშირის ელჩებმა პრემიერი სამუშაო ლანჩზე მიიწვიეს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში ევროკავშირის ელჩს, პაველ ჰერჩინსკისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს შეხვდა. სამუშაო ლანჩი ევროკავშირის ელჩების ინიციატივით გაიმართა, სადაც მთავრობის მეთაური მიიწვიეს.**

შეხვედრაზე განხილულ იქნა კონკრეტული ნაბიჯები, რომლებსაც საქართველო კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის დგამს. საუბარი შეეხო პარლამენტისა და მთავრობის მიერ შესრულებულ 12 რეკომენდაციას, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის განისაზღვრა. ასევე, შეჯამდა მთავრობის მიერ გატარებული წარმატებული რეფორმები და ის პროგრესი, რომელიც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე აქვს. განხილულ იქნა აგრეთვე ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში.

ხაზი გაესვა, რომ ანგარიში მკაფიოდ ასახავს ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ წინსვლას. ირაკლი ღარიბაშვილმა ელჩებს გააცნო ის ნაბიჯები, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ოქტომბრამდე გადადგამს, როდესაც ევროკომისია გამოაქვეყნებს წერილობით ანგარიშს და რეკომენდაციას მისცემს ევროპულ საბჭოს, მიენიჭოს თუ არა საქართველოს კანდიდატის სტატუსი. შეხვედრას ესწრებოდა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე.

# მთავრობა ყოველთვის მხარს დაუჭერს დაუნის სინდრომის მქონე პირთ!

**საერთაშორისო საზოგადოება დაუნის სინდრომის დღეს აღნიშნავს, საქართველოს მთავრობა ყოველთვის მხარს დაუჭერს დაუნის სინდრომის მქონე პირთა ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარებისკენ მიმართულ ინიციატივებს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს.

მისი თქმით, სახელმწიფოს ვალია, იზრუნოს დაუნის სინდრომის მქონე პირთა უფლებებზე, ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.

**„დღეს საერთაშორისო საზოგადოება დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს! ამ დღეს მთელი ცივილიზებული მსოფლიო კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ პატივს სცემს თითოეული ადამიანის უფლებას, იცხოვროს და განვითარდეს თანასწორ და ღირსეულ გარემოში. მთავრობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სახელმწიფოს კონსტიტუციურ ვალდებულებას, რომ შექმნას განსაკუთრებული პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის“.**

# სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ეყრდნობა ე.წ. ელიტური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ მიკერძოებულ და უსამართლო დასკვნებს!

**მე გავეცანი ძალიან მოკლედ ანგარიშს და ძირითად აქცენტებს, სამწუხაროა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ეყრდნობა ე.წ. ელიტური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ არაობიექტურ, მიკერძოებულ, სუბიექტურ და უსამართლო დასკვნებს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

**„მინდა, აღვნიშნო, რომ თქვენ მიერ ნახსენები ფაქტები არ შეესაბამება სიმართლეს, ეს არის მხოლოდ სპეკულაციები და ცალკეული, პოლიტიკურად ანგაჟირებული, მიკერძოებული ადამიანების მიერ მოყვანილი ცრუ, მოგონილ ინფორმაციებზე, ასე ვთქვათ დასკვნებსა და ანგარიშზე დაყრდნობილი. ეს ჩვენთვის არ არის საინტერესო. მინდა, გითხრათ მთავარი, რომ ათი წლის წინ და უფრო ადრეც, როცა მაგალითად, ქვეყანაში იყო სისტემური კორუფცია, სისტემური დანაშაული, ხდებოდა ადამიანების წამება, გაუპატიურება, მკვლელობა, ბიზნესის წართმევა, მედია თავისუფლება საერთოდ არ არსებობდა, არც ერთი თავისუფალი ტელეარხი არ არსებობდა. მე არ მახსენდება ფაქტები, რომელიც მაგალითად, სახელმწიფო ანგარიშში არის მოყვანილი, რაც რა თქმა უნდა, სამწუხაროა.**

**მეორე მხრივ, ჩვენ ვართ ღია დემოკრატია, გახსნილი დემოკრატია, თუნდაც ის ფაქტი, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ეყრდნობა თავისუფალი, მათ შორის მედია საშუალებებს, კრიტიკული მედია საშუალებების მიერ მომზადებულ ანგარიშებს თუ ინფორმაციებს, თუმცა მათი ინფორმაციების 100% არ არის დაყრდნობილი ფაქტებზე, არამედ ეს არის მოგონილი, ცრუ ინფორმაციები. ფაქტია, რომ ამდენი, ასეულობით არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს საქართველოში, რომლებიც სამწუხაროა, რომ არასწორ ინფორმაციებს ავრცელებენ მთელს მსოფლიოში და ცდილობენ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სახელმწიფოს იმიჯის დისკრედიტაციას, რაც რა თქმა უნდა, არ შედის ჩვენი ქვეყნის ინტერესებში, ჩვენი ხალხის ინტერესებში, ამ ყველაფრის მიუხედავად, თქვენ უყურებთ, რომ დღეს გვაქვს სრული თავისუფლება, არასამთავრობო სექტორს, მედია საშუალებებს, ყველგან.**

**აი, მაგალითად ტელეკომპანია „ტვ პირველი“, არის ძალიან კრიტიკული, ხშირად, უმეტეს წილად არ ეყრდნობა და არ ამოწმებს ფაქტებს, საზოგადოებას ესაუბრება ტყუილებით, ავრცელებს ტყუილებს, მაგრამ ეს ნორმალურია, ეს არის დემოკრატიის ნაწილი. ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვართ, ჩვენ ამ ყველაფერს ვუპირისპირებთ სიმართლეს და სიმართლეს ვერც ერთი ანგარიში ვერ აღუდგება წინ“...**

## „დაინახეთ, რომ მკვლელობის, სამშობლოს ღალატისა და სხვა ცილისწამებათა დაბრალება ცუდი საქციელია?!“

**„ერთგვარი დალოცვის ფორმა შეიძინა სიტყვებმა, — „გაძლება მოგცეს ღმერთმა“! ახლობლები, ნაცნობები, უცხო ადამიანები ამ სიტყვებს ხშირად მეუბნებიან. არაა იოლი გასაძლები. ვიცით, ვის რის ფასად უჯდება პატივისა და ღირსების შელახვის დათმენა?! უფლის წყალობით, მე ვუძლებ; აი, დათო ტურაშვილი კი, სამწუხაროდ საავადმყოფოში მოხვდა! მინდა ჯანმრთელობა ვუსურვო მას და ასევე ვისურვო, რომ ჩვენი საზოგადოება მეტად დაუფიქრდეს მის ნათქვამს, რომ სიტყვებიც შეიძლება მკვლელობის იარაღად იქცეს! ახლა კონკრეტულს არაფერს შევახსენებ ტელევიზიებს, რომლებსაც არაერთხელ ანალოგიური რამ გაუკეთებიათ, და მათ შორის ჩემ მიმართაც, ინტერნეტსივრცე კი, ისეთი რეალობაა, რომ თუ იქ ერთხელ რამე მოხვდა, მუდმივად რჩება და მუდმივად შეგვახსენებს ამას. ამ ტელევიზიების საყურადღებოდ მინდა ვთქვა: კარგია, დათო ტურაშვილს რომ ექომაგებით, მართლაც დაინახეთ, რომ მკვლელობის, სამშობლოს ღალატისა და სხვა ცილისწამებათა დაბრალება ცუდი საქციელია?! იმედი ვიქონიოთ, რომ ხვალიდან ამგვარ უღირს საქციელს თავადაც მოერიდებით? ან შენდობას ითხოვთ უკვე ჩადენილზე? ან ამ პოსტს მშვიდად და გაცნობიერებულად მიიღებთ?“,** — ასე მიმართავს დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე სოციალურ ქსელში ოპოზიციურ მედიას.

## ირაკლი კობახიძე: ამ კამპანიამ გააკეთა იმაზე დიდი საქმე, ვიდრე კანონის ამოქმედების შემთხვევაში გააკეთებდა

**„ჩვენ ვხედავთ, რომ რუსულ კანონებს იღებენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. დასავლურ სივრცეში არის დიდი ბრიტანეთი, სადაც თითქმის ბოლომდეა მისული ეს პროცესი, არის ევროკავშირი, სადაც EPP-იმ დააინიცირა ეს საკითხი, არის კანადა, ავსტრალია და ასე შემდეგ. ანუ რუსული კანონი მოედო მთელ ცივილიზებულ სამყაროს. რა თქმა უნდა, ჩემს ამ განცხადებაში არის ძალიან დიდი ირონია. თქვენ ძალიან კარგად ხედავთ, რამხელა ფარსი იყო ის კამპანია, რომელიც საქართველოში წარმოებდა იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც დაინიცირდა საქართველოს პარლამენტში და რომელიც იქნა მიღებული პირველი მოსმენით. რა თქმა უნდა, ყველა ცივილიზებული სახელმწიფო ზრუნავს საკუთარ სუვერენიტეტზე და ამას ემსახურება ნებისმიერი ამ კანონის ინიცირება ნებისმიერ სახელმწიფოსა თუ ევროკავშირში. ბუნებრივია, ჩვენც უნდა ვიზრუნოთ ჩვენს სუვერენიტეტზე და აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ასეთი ზომა არის გამართლებული. თუმცა, საქართველოში კანონი არ იქნა მიღებული, მაგრამ ამ კანონპროექტმა გააკეთა იმაზე დიდი საქმე, ვიდრე ამოქმედების შემთხვევაში გააკეთებდა. რეალურად, ამ კანონპროექტმა თავისი ინიცირებით შეძლო საქართველოში სუვერენიტეტის გამყარება. ეს ძალიან მალე გამოჩნდება კონკრეტული ქმედებებით“.**

## გივი მიქანაძე: ევროკავშირი თვითონვე იწყებს იმ საკითხის განხილვას, რაზეც ჩვენ მიგვითითა, რომ ეს ევროპულ სტანდარტებს ეწინააღმდეგება

**„ევროპაც და სხვადასხვა დასავლური სახელმწიფოც მსჯელობენ ასეთი კანონის არსებობის აქტუალობაზე. ევროკავშირი თვითონვე იწყებს იმ საკითხის განხილვას, რაზეც ჩვენ მიგვითითა, რომ ეს ევროპულ სტანდარტებს ეწინააღმდეგება, რაზეც ლეგიტიმური კითხვის ნიშნები ჩნდება. ეს რა თქმა უნდა ბადებს ეჭვს, რომ გარკვეული ორმაგი მიდგომები არის ამ საკითხთან მიმართებით“,** — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, გივი მიქანაძემ ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფის ევროპარლამენტარების მოწოდებას, ამერიკის უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის — FARA-ს ევროპული ეკვივალენტის შექმნასთან დაკავშირებით.

**ევროკავშირი აგენტურის შესახებ კანონზე მუშაობს;**
**რუსული კანონი 27 ქვეყანაში მოქმედებს;**
**იგივე კანონპროექტი ამ დღეებში კანადაში დააინიცირეს...**

ლაპარაკია ამერიკულ „რუსულ“ კანონზე, რომელიც ჩვენმა პარლამენტმა პირველი მოსმენით მიღების შემდეგ უკან გაიწვია და ამ პროცესმა ზღვა ხალხი გამოიყვანა ქუჩაში, რუსთაველზე „მოლოტოვის კოქტეილის“ ჭიაკოკონები ააბრიალა და ამ იმპროვიზებულ აუტოდაფეებზე კინაღამ ცოცხლად დაიწვნენ პოლიციელები.

7-8-9 მარტის მღელვარების შემდეგ, რასაც საფუძვლად ედო ამ საზიზღარი „რუსული“ კანონის მიღების მცდელობა ხელისუფლების მიერ, რაც მზაკვრულად აცილებდა საქართველოს ევროპისკენ მიმავალ გზას და მას რუსეთის გუბერნიად აქცევდა, კანადის ინიციატივამ ეჭვები და კითხვები დაბადა, რომელთა მსგავსიც მანამდე ყრუდ ისმოდა მხოლოდ საზოგადოების ნაწილში: რა ხდება? კანადაში რუსულ კანონს ღებულობენ? დაგვაგოიმეს? გამოგვიყენეს? ჩვენ, უბრალოდ, ევროპულ კურსს ვუჭერდით მხარს, ოპოზიცია კი, თურმე, თავის საქმეს აკეთებდა! აღარ ვიცით, ვის ვენდოთ!

ეს ეჭვიანი კითხვები სულ უფრო იტოტება, ფუვდება და წალეკვით ემუქრება მარტის საპროტესტო აქციებით მოპოვებულ გამარჯვებას. ამ გამარჯვებით აღტაცებულ-



გინდა თუ არა, უმშვიდობიანესი აქცია იყოო. მონაწილენი პოლიციას სულ „მობრძანდი-წაბრძანდით“ მიმართავდნენ, მაშინაც კი, როცა „მოლოტოვის კოქტეილებს“ უშენდნენ, როცა თავებს უხეთქავდნენ ნასროლი ქვებით, როცა უკვე 8 მარტს მომიტინგეთა ერთი ნაწილი შესამჩნევად აღიჭურვა ზურგჩანთებით, რომლებშიც უმეტესად „კოქტეილის“ ბოთლები და დასაშენი ქვები ეწყო, შეიძლება ბუტერბროდებიც.

# მთვლემარე ვეშაპის გამოღვიძება

შეუნჯღრუკებელი აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი საქართველოს ხელისუფლებას ბოლომდე აწვება და თითს უქნევს: ყველანი ველით, რომ პარლამენტი ოფიციალურად უარყოფს იმ კანონებსაც, რომლებიც კრემლის მიერ არის შთაგონებული და არ სჭირდება საქართველოსო!

რომელ კრემლიდან შთაგონებულ კანონებზე ლაპარაკობს ელჩი? რას გვამუნათებს და გვიკიჟინებს? იქნებ სჯობს თვითკრიტიკულად გადახედოს თავის ნებსით თუ უნებლიე როლს მთელ იმ სამდღიან ბაქანალიაში!

ო, როგორ აფუთფუთდნენ ნეხვის ჭიები! ნახეთ, რა ამაყი და შეურიგებელია ყოფილი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია თავის ფეისბუკმიმართვაში საპარლამენტო უმრავლესობისადმი: ჩემო ნაცნობო დეპუტატებო „ქართული ოცნებიდან“, ვინც მარტო დარჩით მთელი დემოკრატიული სამყაროს პირისპირ და მხოლოდ ლავროვი, პესკოვი და მარგარიტა სიმონიანი გიცავთ, მინდა იცოდეთ, აღარ გეტყვით „გამარჯობას“, არასოდეს დავდგები იქ, სადაც თქვენ იქნებით. თუ სადმე შემთხვევით გნახავთ, მშვიდად გეტყვით, რასაც თქვენზე ვფიქრობ.

ამას კი ამბობს ლომჯარია, მაგრამ იმას არ უკვირდება, თუ რას ფიქრობენ მასზე არა მხოლოდ ოპონენტები, არამედ მოქალაქეთა უმრავლესობა, რომელთა „დამცველიც“ ის იყო. რამდენი მათგანი ეტყვის „გამარჯობას“ საზოგადოების წინაშე მარტოდ დარჩენილს, ნაცური სისხლით მოწამლულს!

**გამარჯვებამ იმედები აუჩუჩუნა რადიკალურ ოპოზიციას. ვანო მერაბიშვილმა ბლუ ენა ამოიდგა. პირდაპირ ცეცხლი დაანთო და ნაპერწკლები გააყრევინა. მასობრივი საპროტესტო აქციების გაგრძელებას ვაპირებთო, ჩვენი მთავარი მიზანი მთავრობის შეცვლა და პროდასავლური, პროუკრაინული მთავრობის მოყვანაა, რომ უკრაინა მარტო არ იყოს, რადგან ჩვენ პრაქტიკულად მოკავშირეები ვართო.**

ოღონდ, ამ კაცის მიუკიბ-მოუკიბავად ნათქვამი სიტყვები, ოპოზიციის სამომავლო გეგმის გამხელა, თვით რადიკალურ ოპოზიციაშიც ყველას როდი მოეწონა. მაგალითად, სალომე სამადაშვილმა ცოფიანთა რიგებიდან უმალ ალიყური გასცხო, მერაბიშვილი თავისი განცხადებით „ქართული ოცნების“ მეკავშირე გამოდისო.

არადა, ვანუასებრი მგზნებარე მიზნები ჰქონიათ ლელოელ მამუკა ხაზარაძესა და ყოფილ ნიკანორს. მათმა მოსაზრებებმა შეიძლება დააინტერესოს მხოლოდ რადიკალურ ოპოზიციაში მყოფნი და არა ქვეყნის მომავალზე მოფიქრალნი, პირადი ინტერესებისა და პირადი გავლენებისთვის მებრძოლნი. ახლა სხვა დროა, სხვა პროცესი, სხვა პროტესტი, სხვა ხალხი და შედეგიც აუცილებლად სხვა იქნებაო, დაასკვნის ფილოსოფოსი მელია.

**ახალ ცოცხ თავმჯდომარეს ლევან ხაბეიშვილსაც მოვუსმინოთ, რომელსაც პირდაპირ სულზე მოუსწრო მარტის რევოლუციურმა მღელვარებამ, თორემ, ფაქტობრივად, იშკილებიდან იყო ჩამოვარდნილი. მანამდე რამდენი არ იჩალიჩა, მაგრამ სამიკროფონო ვითარება ვერ შეაკოწიწა, სახედარივით მოწყენილი და ყურებჩამოყრილი ვიდოდა: დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს იყო ყველაზე წარმატებული პროტესტი. ის რეალობა, რომ აქამდე ამ ქვეყანას დღის წესრიგს ბიძინა ივანიშვილი კარნახობდა, დანგრეულია, ქართველმა ხალხმა ბიძინას უძლეველობის მითი დაარღვიო.**

იქა აქვთ საქმე, ბიძინასთან! ეს არის მათი სადარდებელი, როგორ წააქციონ, როგორ დაამხონ. დეკლარირებული მაღალი იდეალები მათთვის მესამეხარისხოვანია. არც გასაკვირია: მათი აზრით, ბიძინას დაუმხობლად მიზანს ვერ მიაღწევენ, რევოლუცია არ შედგება, მაგრამ ეს საქმეც – ბიძინას დამხობაც რომ არ გამოდის! არც 7-8 მარტს გამოვიდა! თუმცა, როგორც აფხაზ მოღვაწეს ინალ არძინბას და სხვებს მართებულად მიაჩნიათ, ეს იყო ხელისუფლების ძალისმიერი დამხობის მცდელობა.

თუმცა, ამას ჩვენს ოპოზიციას ვერ დააცდენინებ. გინდა თუ არა უმშვიდობიანესი აქცია იყოო. მონაწილენი პოლიციას სულ „მობრძანდი-წაბრძანდით“ მიმართავდნენ, მაშინაც კი, როცა „მოლოტოვის კოქტეილებს“ უშენდნენ, როცა თავებს უხეთქავდნენ ნასროლი ქვებით, როცა უკვე 8 მარტს მომიტინგეთა ერთი ნაწილი შესამჩნევად აღიჭურვა ზურგჩანთებით, რომლებშიც უმეტესად „კოქტეილის“ ბოთლები და დასაშენი ქვები ეწყო, შეიძლება ბუტერბროდებიც.



**მათ უამრავი დამცველ-გამამართლებელი გამოუჩნდა. ჩვენი სახელოვანი ბანი პაატა ბურჭულაძე, რომელსაც წლების მსვლელობის შესაბამისად ხმასთან ერთად მოვლენათა განსჯის უნარი თანდათან აშკარად შეუსუსტდა, მიტინგზე ღაღადებდა: აგენტების შესახებ კანონი რომ დამტკიცებულიყო, ვისაც საზღვარგარეთიდან ნათესავები დახმარებას უგზავნიან, ყველას დაპატიმრება შეეძლოთ, როგორც აგენტებისაო. თქვენ ეს გააკეთეთ სამშობლოს სიყვარულით, რაც ამათთვის (კანონის მომხრეთათვის, – ა.ა.) უცხოაო. წინა დღეს მიტინგზე გამოსვლისას მსოფლიოო ბანმა გააკეთა თავის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი დასკვნა: რასაც ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, სამშობლოს სიძულვილით აკეთებს, ბიძინა ივანიშვილზე დიდი მტერი საქართველოს არ ჰყოლიაო, ანუ რის არაბი და მონღოლი, რის სულთანი და შაჰი, ბიძინა ყოფილა, რაც ყოფილა! ახლაც, იმასთან ერთად რომ ჩაფიქრებული აქვს, ქვეყანა მოსკოვთან შეთანხმებით ევროპულ გზას აცილოს, საქართველოში კენიიდან ცხრა ძირი ბაობაბის გადმორგვას აპირებს თურმე. ბააობაბისა, კაცო!**

საქართველოს პარლამენტის უკან დახევას კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების შემდეგ, მსოფლიოს პირდაპირ ღრიალა გამოხმაურება მოჰყვა, არანაკლები იმისა, რაც მანამდე იყო ატეხილი: ღმერთი არ გაგიწყრეთ, არ მიიღოთო. მოწონების შეძახილებში განსაკუთრებით ემანუელ მაკრონის ხმა კრიმანჭულობს: საქართველოს, რომელიც ევროპისკენ მეტრიალდა, შეუძლია, საფრანგეთის იმედი ჰქონდესო.

მაგრამ, რა თქმა უნდა, პარლამენტის ამ უკანასკნელ ნაბიჯს ყველა ასე ყურებამდე გახეული ტუჩებით როდი შეხვდა. რუსეთის დუმის სპიკერი ვიაჩესლავ ვოლოდინი გულდათუთქული წერს, კანონპროექტის გაწვევით საქართველომ სუვერენიტეტის შანსი დაკარგაო. ვაშინგტონმა საქართველოს უფლება არ მისცა, სუვერენული გამხდარიყოო, ხალხი ქუჩაში ვაშინგტონმა გამოიყვანაო. სხვას აბა რას იტყოდა!

ის ინფორმაცია კი აშკარად ჩასაფიქრებელია, რაც გია ვოლსკიმ გააჟღერა: კრიზისულ დღეებში, 7-8 მარტს, თბილისში ჩამოსული იყო ჯგუფი უკრაინიდან სააკაშვილის ნაცმოძრაობის მხარდამჭერებისა, მებრძოლებისა, რომლებსაც ახალგაზრდული ენერგიის გამოყენებით შესაძლოა ეცადათ, რომ აგორებული რევოლუციური პროცესი დღის წესრიგიდან არ მოხსნილიყო და უიარაღო სამოქალაქო ომში, ჭყლეტაში, რაღაც დაპირისპირებაში „ორი ტრუპის“ თემა კვლავ გააქტიურებულიყო.

ჭყლეტის სტრატეგიული დანიშნულების შესახებ არის დირექტივა მერაბიშვილ-ხაბეიშვილის საიდუმლო საუბარშიც, სადაც ვანუა მთავარსარდალი არიგებს სავლე მეთაურს ხაბაკას: „მზად არიან და როგორც კი ვეტყვით, ეგრევე დაიწყება. იმას, ჩვენ რომ ვიცით (სააკაშვილი? – **ა.ა.**) აჩვენე, რომ ჩემი დაბროა, რათა შემდეგ ტრა..ის თამაში არ დაიწყოს... ბიჭებმა იციან და შენც რომ იცოდე, მთავარია ჭყლეტაში მოხდეს (ალბათ, „ტრუპების“ მოპოვება – **ა.ა.**), მაშინ აქვს ეფექტი. პარტიის სახეები არ უნდა იყვნენ მაგ საქმეში. მოკლედ, იცი ყველაფერი და აბა, შენ იცი...“

ხედავთ, რევოლუციის როგორი სტრატეგია აქვს დამუშავებული ამ ტრუპების დიდოსტატს?! ეს აფთარი თავის გეგმას უფრო ფართოდ გვაცნობს იუთუბზე 8 მარტს გამოქვეყნებულ ევგენი კისილიოვთან საუბარში: „თქვენ ნახეთ, რომ გუშინ ხალხი პარლამენტთან უბრალოდ იდგა და მის წინააღმდეგ წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. იგივე მოხდება საავადმყოფოსთან (უთუოდ, „ვივამედთან“ – **ა.ა.**). „როგორც კი იქითკენ წავიყვანთ ხალხს, ხელისუფლება გადაისვრის ძალებს. მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება არის ჩვენი უპირველესი ამოცანა, აქამდე ამას დიპლომატიური მეთოდებით ვცდილობდით. სერიოზული მიღწევები გვაქვს ამ მიმართებით ამერიკაში. მნიშვნელობა არა აქვს, სად გაირღვევა პოლიციის კორდონი, პარლამენტთან თუ საავადმყოფოსთან“. ამ გარღვევაში ჭყლეტისას ერთი-ორი კაცის დაღუპვას გეგმავს ვანო, რაც რევოლუციური ხარისთვის წითელი მოსასხამის აფრიალება იქნებოდა...



**ვანო მერაბიშვილი: მზად არიან და როგორც კი ვეტყვით, ეგრევე დაიწყება. იმას, ჩვენ რომ ვიცით (სააკაშვილი?) აჩვენე, რომ ჩემი დაბროა, რათა შემდეგ ტრა..ის თამაში არ დაიწყოს... ბიჭებმა იციან და შენც რომ იცოდე, მთავარია ჭყლეტაში მოხდეს (ალბათ, „ტრუპების“ მოპოვება), მაშინ აქვს ეფექტი. პარტიის სახეები არ უნდა იყვნენ მაგ საქმეში. მოკლედ, იცი ყველაფერი და აბა, შენ იცი...**

იხ. 6 გვ.

№33. ოთხშაბათი, 22 მარტი, 2023 წელი.



**რონალდ რეიგანი:**

## თუ ფაშიზმი ოდესმე მოვა ამერიკაში, ის მოვა ლიბერალიზმის სახელით!



# ეროვნულ ფასეულობებს ნუ დავახურდავებთ!

**„თუ ფაშიზმი ოდესმე მოვა ამერიკაში, ის მოვა ლიბერალიზმის სახელით“,** – აშშ-ის ლეგენდარული პრეზიდენტი **რონალდ რეიგანი** წინასწარ ჭვრეტდა, დადგებოდა დრო, როდესაც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვა მხოლოდ პოლიტიკურ კონიუნქტურას დაექვემდებარებოდა და დემოკრატიის შუქურად შეფასდებოდა ისეთი ანტიდემოკრატიული და ანტიჰუმანური რეჟიმები და პოლიტიკური ძალები, როგორიც საქართველოში სააკაშვილის მმართველობა და მისი პარტია იყო.

რეიგანის ეს გასაოცარი სიტყვები განსაკუთრებით დღეს არის აქტუალური. მით უმეტეს 7-8 მარტის მოვლენებმა დაადასტურა, რომ ქართული ოპოზიციის სტილი არის ფაშიზმი, რომელთა მოქმედებები პოლიტტექნოლოგისა და ხავერდოვანი რევოლუციების სპეციალისტის **პიტერ აკერმანის** გეგმით, ხელისუფლების დამხობა ძალადობრივი გზით მიმდინარეობს. ამ გეგმის პირველი ნაწილი რუსთაველის გამზირზე ვიხილეთ, აგრესიული სტუდენტური ჯგუფების მონაწილეობით, რომელთა ყოველი მოქმედება არის დაფინანსებული ოლიგარქ **დავით კეზერაშვილის** მიერ.

კეზერაშვილის სახელს უკავშირდება ორგანიზაცია „ნაბიჯი“, რომელსაც ფკეზერაშვილის ცოლისძმა **დიმიტრი ჩიქოვანი** ხელმძღვანელობს. ორგანიზაციულ საკითხებში ჩართულია „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარეობის ყოფილი კანდიდატი **გიორგი მუმლაძე.** სწორედ ეს ორგანიზაცია ხელმძღვანელობს და ატრენინგებს პოლიტიკურად ანგაჟირებული აგრესიული ახალგაზრდების ჯგუფებს. გეგმის პირველი ნაწილია პოლიტიკურად განსხვავებული პოზიციის მქონე ლექტორებისთვის სირცხვილის კორიდორის მოწყობა და ლექციის ჩაშლა.

სწორედ, „ნაბიჯის“ მიერ იყო ორგანიზებული თსუ-ში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის** ლექციის ჩაშლა.

პარლამენტის თავმჯდომარის **შალვა პაპუაშვილის** განცხადებით, განსხვავებული აზრის დევნა ის ფაშისტური კამპანიაა, რომელსაც ყოფილი სახალხო დამცველი, თუ სხვა ასეთი პირები აწარმოებენ. მისი თქმით, აკადემიურ სივრცეში პოლიტიკას არაფერი ესაქმება და ეს ყველა უნივერსიტეტის შიდა სტანდარტია.

**„ხომ არ ხდება აკადემიური სივრცის პოლიტიკურად გამოყენება? – ჩვენ ამას ვხედავთ, თუნდაც ის, რომ იქ ორგანიზებულად არიან ესა თუ ის ჯგუფები, სტუდენტების თუ ა.შ. რომელიც ამ საკითხით დაკავებულები არიან, მათ შორის, ჩვენ პოლიტიკურად აქტიური ლექტორებიც ვნახეთ. აკადემიურ სივრცეში პოლიტიკას არაფერი ესაქმება და ეს ყველა უნივერსიტეტის შიდა სტანდარტი გახლავთ. უნივერსიტეტებმა თავად უნდა ისაუბრონ ამაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ამ სტანდარტს, ან არ აკმაყოფილებენ.**

**ჩვენ ვხედავთ, რომ პოლიტიკური პარტიების ლიდერები სხვადასხვა სასწავლებლებში დადიან და საკუთარ პოლიტიკური იდეოლოგიას ავრცელებენ. განსხვავებული აზრის დევნა ის ფაშისტური კამპანიაა, რომელსაც ყოფილი სახალხო დამცველი, თუ სხვა ასეთი პირები აწარმოებენ, რომლებიც პირდაპირ გარიყვისკენ მოუწოდებენ. აი, ეს ჩვენს ხელისგულზე დევს, ეს თქვენს თვალწინ არის“,** – აცხადებს **შალვა პაპუაშვილი.**

7-8 მარტის შემდეგ ოპოზიციისა და მათ შორის ყოფილი სახალხო დამცველის მხრიდან სულ უფრო ხშირად ისმის ფაშისტური მოწოდებები:

**„მოვიკვეთოთ საზოგადოებიდან ის ადამიანები, ვინც ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება ქვეყნის ევროპულ ორიენტაციას!“**

**„არ მივესალმოთ, ხელი არ ჩამოვართვათ ასეთ ადამიანებს, რათა მათ დაინახონ, რომ კეთროვანები არიან!“**

**„ასეთი ლექტორები არ შევუშვათ ლექციებზე და გავაძევოთ უნივერსიტეტებიდან!“**

**„მათ ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს!“**

**„გამოვაცხადოთ ასეთი ადამიანების – საქართველოს მტრების მისამართები და მათ საცხოვრებელ სახლებთან მოვუწყოთ ობსტრუქცია!“**

**„დავაბულინგოთ ასეთების შვილები, რათა შვილების საშუალებით მოვახდინოთ მათზე ზემოქმედება!“**

ამ მოწოდებებს ვისმენთ ლიბერალიზმის სახელით მოქმედ იმ ადამიანებისგან, რომლებიც საკუთარ თავს დემოკრატებს და პატრიოტებსეძახიან. ა/ო „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ **ნანა კაკაბაძე** ამბობს, რომ ადამიანების ასეთ მოწოდებებს მხარდაჭერა აქვთ დასავლეთის ქვეყნების იმ პოლიტიკოსებისგან, რომლებიც ასევე ლიბერალებს უწოდებენ საკუთარ თავს. როგორც კაკაბაძე აცხადებს, ფაშისტებსაც და კომუნისტებსაც ჰქონდა საკუთარი იდეოლოგიის გამამართლებელი კონსტიტუციებიც და კანონებიც.

**„ისინიც, როგორც ესენი, დიდი მიზნების მიღწევებისადმი სწრაფვის აუცილებლობით ამართლებდნენ მათი იდეოლოგიის მოწინააღმდეგეთა კეთროვნებად გამოცხადებას და მათი მორალური, საჭიროების შემთხვევაში ფიზიკური განადგურების აუცილებლობას. ზუსტად ასე იქცევიან თანამედროვე „ლიბერალი“ ფაშისტებიც. ამიტომაც წყლის ორი წვეთივით ჰგავს მათი ქმედებები. წვავენ მათთვის მიუღებელი ოპონენტების წიგნებს; უკეტავენ უნივერსიტეტის კარებს მათთვის მიუღებელ ლექტორებს; „მოღალატის“ დამღით მორალურად კლავენ ადამიანებს“,** – აცხადებს კაკაბაძე.

ექსპერტი, „ხალხის ძალის“ წარმომადგენელი **თამთა მეგრელიშვილი** ერთ-ერთია, რომლის 15 წლის შვილი ბულინგის და ფაშისტური თავდასხმის ობიექტი დედის პოლიტიკური არჩევანის გამო გახდა. როგორც ექსპერტი აცხადებს, მის შვილს თანატოლები აბულინგებდნენ, ეუბნებოდნენ, რომ დედაშენი არის რუსეთუმე, იღებს რუსულ კანონს და ხვალ უკვე რუსეთში გაიღვიძებს.

**„რეალურად, მართლა ლუსტრაცია მოხდა ამ ადამიანებისა თუ რაზე წასვლა შეუძლიათ საკუთრი ჯიბის და მდგომარეობის გადასარჩენად. არა მხოლოდ ლიდერებს აყენებდნენ შეურაცხყოფას და აბულინგებდნენ, არამედ რიგითი წევრების შვილებსაც. მიხეილ ყაველაშვილის და ეკა სეფაშვილის შვილებზეც იყო ბულინგი. ასევე ჩემს შვილზეც განხორციელდა ბულინგი. ისე ინერვიულა, რომ სკოლაშიც არ წავიდა“.**

როგორც ექსპერტი აცხადებს, ის, დღეს რაც ხდება, არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, რომელსაც ადგილი აქვს დესტრუქციული ოპოზიციის მხრიდან და ეს არ ჩერდება, უწყვეტ რეჟიმში მიდის, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

**„გამოვიდნენ სტუდენტები, რომლებიც ანგაჟირებული იყვნენ, ზოგიერთს ფულიც კი ჩაერიცხა კონკრეტული განცხადებებისთვის და სირცხვილის კორიდორის მოწყობისთვის. ბავშვებს აწერინებენ, რომ თითოეულის მისამართს გავიგებთ და მივალთო, ესენი ჯერ ხელისუფლებაში არ არიან და უკვე რაზე მიდიან, რისთვის არიან მზად და ხელისუფლებაში რომ მობრუნდნენ. წარმოიდგინეთ რას იზამენ?“**

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, ის, რაც ხდება საქართველოში, ეს არის სწორედ ლიბერალური ფაშიზმი, ეს არის ამერიკაში 20-ე საუკუნის დასაწყისში ცნობილი მოძრაობა – „კუკლუქს კლანის“ რეინკარნაცია, როდესაც იდეოლოგიური სარჩულით იდევნებოდა უცხო აზრი, იდევნებოდა ადამიანი რასობრივი, კონფესიური ნიშნით.

**„ნახეთ, დღეს დევნიან ხელისუფლების მომხრე ლექტორებს, ხელისუფლების მომხრე სტუდენტებს, სოციალურ ქსელებში აქვეყნებენ ხელისუფლების მომხრე დეპუტატების მისამართებს, როდესაც მათ მცირეწლოვან შვილებს უწოდებენ მოღალატეებს, ეს არის ლიბერალური ფაშიზმი, ეს არის „კუკლუქს კლანი“ რომელსაც ლიბერალიზმთან, როგორც ასეთთან, არანაირი შეხება არ აქვს“,** – აცხადებს ქართველიშვილი.

მისი თქმით, ეს არის ის მანტია და სარჩული, რომლითაც ეს ადამიანები ცდილობენ თავისი პროგრესულობა დაგვანახონ და ეს ყველაფერი შეფუთონ პროდასავლურ იდეალებში.

**„ეს არის დღევანდელი პროდასავლურობა, თუ დღევანდელი დასავლური ფასეულობები გაიგივებულია ლიბერალურ ფაშიზმთან? საქართველოს, მის ისტორიას, აწმყოს და მომავალს, მის საბაზისო ფასეულობათა ბაზას, მის ტრადიციულობას და ღირსებას ამ ეტაპზე იდეოლოგიურად არაფერი არ ესაქმება აი, ამ მავნე 21-ე საუკუნის გამანადგურებელ მოვლენასთან, როგორიც არის ლიბერალური ფაშიზმი.**

**ამიტომ დაველოდებით, ჩვენ, ჩვენი არ დავკარგოთ და შევინარჩუნოთ და ამ გზაზე ვიმუშაოთ ძალიან აქტიურად. თუ დასავლეთი ვერ მოერევა და საკუთარ თავში ვერ დაძლევს ამ მეტასტაზებს, ავადმყოფობას, ჩვენ უნდა გვქონდეს იმდენი მოთმინება, რომ არ დახურდავდეს ჩვენი ძირითადი ფასეულობები ამ საშინელ ბოროტებაზე“...**

**თამთა ქარჩავა**

# ლომჯარიას მეტი ორდენი აქვს თუ ბრეჟნევს?!

## „ხალხის ძალა“ – თავს უნდა დავუსვათ შეკითხვა, ხომ არ არის საქართველოს უკრაინიზაცია, მეორე ფრონტის გახსნა ის მთავარი მიზანი, რომლისკენაც ქართული პოლიტიკის ხელოვნური პოლარიზაციაა მიმართული

**„საზოგადოებას გვინდა, შევახსენოთ მშრალი ფაქტები გლობალური ომის პარტიის შესახებ, რომელიც საქართველოში თავისი მიზნების მისაღწევად ამერიკისა და ევროკავშირის ოფიციალურ სტრუქტურებს იყენებს:**

– აფინანსებს „სირცხვილიას“, „დროას“, „ფრანკლინის კლუბს“ და სხვა ექსტრემისტულ დაჯგუფებებს;

– ანუ პირდაპირ და თავხედურად აფინანსებს პოლარიზაციას – როცა ამბობ, რომ პოლარიზებულ ქვეყანას კანდიდატის სტატუსს არ მისცემ და თან პოლარიზაციას აფინანსებ, კარგად ჩანს, რომ კანდიდატის სტატუსს, როგორც ერთმა კოლეგამ თქვა, მხოლოდ ანკესის კაუჭზე წამოცმულ ჭიასავით იყენებ;

– პირდაპირ აფინანსებს ლიბერალურ ფაშიზმს, როგორც ქვეყანაში პოლარიზაციის გაღრმავების მთავარ ინსტრუმენტს;

იხ. 6 გვ.

**ჟუანჟუანების ტომში გარკვეული პროცედურების მეშვეობით ტყვე-მონისგან გამოჰყავდათ ახალი ადამიანი — მანქურთი, რომელსაც დავიწყებული ჰქონდა სამშობლო და იდენტობა. მას არასდროს უჩნდებოდა ადამიანისთვის უმთავრესი შეკითხვა — ვინ ვარ მე, საიდან მოვდივარ და საით მივდივარ? მანქურთს სული გამოცლილი ჰქონდა და ტყვეობიდან გაქცევის სურვილი არასდროს უჩნდებოდა.**

**ჩინგიზ აითმათოვი — „საუკუნეზე გრძელი დღე“**




**ინკვიზიციის პერიოდში კოცონზე აყვანილი ადამიანების მეზობლებს მათი ჯადოქრობის სჯეროდათ თუ — არა, ძნელი სათქმელია, სამაგიეროდ, ახლა დანამდვილებით ვიცით, რომ ჯადოქრები არ არსებობენ, თუმცა, იმ დამწვარ ხალხს რა შეღავათი?!**

**საქართველოში უამრავი ოჯახის მსგავსად, ჩემი წინაპრებიც ხალხის მტრებად იყვნენ გამოცხადებულნი, საბრალდებო დასკვნის თანახმად თურმე კომუნიზმის მშენებლობას აფერხებდნენ — ჩემი ბაბუა ღამღამობით ვენახებს ჩეხდა, ხოლო დიდ პაპას ზოგადად კომუნიზმის იდეა დაუყენებია ეჭვქვეშ. ვიღაცამ მათი მრწამსისა და მისწრაფებების შესახებ შესაბამის უწყებას აცნობა და ორივე უკვალოდ გააქრეს.**

სისხლის კალო ლეწეს, ხვრიტეს ჩვენი ბაბუები და ბებიები, მათ შვილებს მოღალატეების შვილები უძახეს, თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, კომუნიზმის აუშენებლობა მთლად ამათი ბრალი არ ყოფილა. რეაბილიტაციის პატარა ფურცლებიც მოუვიდათ ოჯახებს. შეგვეშალაო, ბოდიშის გარეშე!

„დანოსჩიკებმა“ კი გააგრძელეს ცხოვრება და კალმისტრები უკეთესი დროებისთვის გადაინახეს.

რამდენიმე გონებადაბნელებულს, იქნებ, მართლაც ეგონა, რომ მოუსავლიანობა მეზობლად მცხოვრები ჯადოქრის ბრალი იყო, ვიღაცამ შეიძლება, ისიც კი დაიჯერა, რომ ბაბუაჩვენებმა ჩაშალეს კომუნიზმის მშენებლობა, თუმცა, სინამდვილეში, ქვეყანაში კუდიანებზე ნადირობის გარემოს ქმნიდნენ და ამ თვითნაბად რეგვენებს ტვინებს ურეცხდნენ გველაძუები, რომელთაგან ზოგს მსხვერპლის სახლზე ეჭირა თვალი, ზოგი კი სხვების უბედურების ცქერით იქარვებდა საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსს და ქვეცნობიერში მოთუხთუხე ბოღმას.

მზე ამოდის და ჩადის, თაობა მიდის, თაობა მოდის, თუმცა, ყველა ეპოქაში, როგორც კი შესაფერისი გარემო ჩნდება, მიძინებული ვირუსივით მაშინვე ჩნდებიან „დანოსჩიკები“, რომლებიც გადანახულ კალმისტრებს დააძრობენ და იწყებენ ხალხის მტრების და მოღალატეების გამოვლენას.

წინა ხუთშაბათს გავიგეთ, რომ ბოლო რამდენიმე გადაცემაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ამბების დირექტორი გიორგი გვიმრაძე, თურმე, „სვამდა გაურკვეველ შეკითხვებს, რითიც ეჭვქვეშ აყენებდა ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესს“.

აი, ასე, გასული საუკუნის 30-იანი წლების გაზეთში გამოქვეყნებული დაგმობის სტილში — რასაც მეორე დღეს დაპატიმრება მოჰყვებოდა.

**ანუ, ევროინტეგრაცია, თურმე, იმიტომ ფერხდება, რომ გვიმრაძე უშლის ხელს და უნდა გავაგდოთ! განაჩენი გამოტანილია და აღსრულებაღა დარჩა. ცხადია, მოღალატეების სია გვიმრაძით არ იწყება და არც მისით დასრულდება.**

თუმცა, კაცობრიობის მწარე გამოცდილება გვაფრთხილებს — გავა დრო და არც ეს ბრალდება აღმოჩნდება მართალიო! არაო!!!

**საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 16 მარტის სხდომაზე სამეურვეო საბჭოს წევრმა, ლიკა ბასილაია-შავგულიძემ თავისი და საბჭოს კიდევ ორი წევრის, ლაშა ტუღუშისა და ზაზა აბაშიძის სახელით შემოტანილი განცხადება წაიკითხა (სამეურვეო საბჭოში დანერგილი პრაქტიკის თანახმად, როდესაც ტუღუში და აბაშიძე სხდომას არ ესწრებიან, ქალბატონი ლიკა მათი სახელითაც საუბრობს). საბჭოს წევრებმა გენერალურ დირექტორს მოსთხოვეს, წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი, სადაც მოკვლეული და შესწავლილი იქნება ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის ხელმძღვანელის გიორგი გვიმრაძის მრწამსი და მისწრაფება (აი, სწორედ ასე — „მრწამსი და მისწრაფება!“).**

როგორც ჩანს, თავად სამეურვეო საბჭოს წევრებს ამგვარი მოკვლევა უკვე ჩატარებული აქვთ, ვინაიდან დირექტორს იმავე განცხადებაში სთხოვენ საკადრო გადაწყვეტილებების მიღებას ანუ გიორგი გვიმრაძის სამსახურიდან გაშვებას.

ცალკე აღებულ ამ განცხადებას არავითარი ძალა არა აქვს, ვინაიდან, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ოდიოზური მოთხოვნა მხოლოდ სამი წევრის ინიციატივად დარჩება და დანარჩენები მას არ გაიზიარებენ.

ეჭვგარეშეა ისიც, რომ ტელევიზიის არსებული მენეჯმენტი თანამშრომელთა მრწამსის კვლევების ჩატარებას არ დაუშვებს და, აქედან გამომდინარე, საბჭოს ცალკეულ წევრთა ეს ინიციატივა მორიგ სამარცხვინო ლაფსუსად დარჩებოდა, რომ არა ერთი გარემოება, რაც ამ განცხადებას განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქცევს.

**ჩვენც „შპიონ ბავშვებად“ გადავიქცეთ და მოღალატეები და ხალხის მტრები ვეძებოთ!**

განცხადების გასვლიდან რამდენიმე დღე გავიდა და მედიაში და სოცქსელებში გავრცელებული კომენტარებიდან ჩანს, რომ ადამიანების ერთმა ჯგუფმა, მათ შორის ჟურნალისტებმა და ვითომ სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებისთვის მოღვაწეებმა არამცთუ უხერხულობა იგრძნეს მოსახლეობის ოთხმოცდახუთი პროცენტის სახელით გაკეთებული ნეობოლშევიკური პათოსით გაჟღენთილი განცხადების გამო, არამედ აიტაცეს იგი და მისი გამართლება და კიდევ უფრო განვრცობა განაგრძეს.

**თუმცა, შეხედულებათა ამგვარი თანხვედრა გასაკვირი არ არის, ვინაიდან მოვლენათა კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ეს განცხადება მხოლოდ სამი ადამიანის შემოქმედება კი არ გახლავთ, არამედ იგი წარმოადგენს საზოგადოებრივ აზრზე გაბატონების სურვილით შეკავშირებული ჯგუფის კოლექტიური ნააზრევის და სამოქმედო გეგმის გამოძახილს.**

ყოველდღე ვხედავთ, როგორ ცდილობენ ეს „მრწამსის მკვლევარები“ სრული მონოპოლია მოიპოვონ საზოგადოებრივ აზრზე. მათ მიზანია, თავად აკონტროლონ, რომელი ამბავი უნდა მიეწოდოს მოსახლეობას და რომელი — არა. თუ საჭიროდ მიიჩნევენ, ინფორმაციას ისე შეცვლიან და თარგმნიან, როგორც თავად აწყობთ. სწორედ ამიტომ, მათ კოორდინატთა სისტემაში რომელიმე უკონტროლო და თავისუფალ ჟურნალისტს არც კითხვების დასმის უფლება აქვს და არც — არსებობის.

ვინც კონტროლის სისტემას არ ემორჩილება, ასეთების და მათი ოჯახის წევრების მიმართ დაუყოვნებლივ ირთვება მიზანმიმართული ბულინგის კამპანია — „პრორუსია“, „მოღალატეა“, „სალამი არ უნდა მისცე“, „უნდა მოიკვეთოს“!!! და ასე შემდეგ.

**ბულინგს უნიშნავენ მასაც, ვინც მოღალატედ შერაცხილს მიესალმება და დაელაპარაკება, ან, ღმერთმა არ ქნას — გამოესარჩლება.**

არ თქვათ, რომ ეს მეთოდი არ ჭრის! ძალიანაც კარგად ჭრის!

თითქმის ყოველდღე ვუცქერთ და ვუსმენთ ბულინგ-ტერორის კონკრეტულ შემთხვევებს, თუმცა, შარს რომ ავერიდოთ, ხშირად გამოსარჩლებასაც ვერიდებით. ჩვენივე შეთხზული სულელური არგუმენტებით ვიტყუებთ თავს: „წესიერი კაცი კი ჩანს, მაგრამ იქნებ მართლა მოღალატეა?! სასამართლოში იჩივლოს და იქ დაამტკიცოს თავისი სიმართლე.“

ჩვენ რა ბულინგზეც ვსაუბრობთ, ეს არ გახლავთ მხოლოდ ცალკეულ უზრდელ ადამიანთა კომენტარები, ეს არის მეცნიერულად დამუშავებული და აპრობირებული პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, რომელსაც საზოგადოებაში დიდი რყევების გამოწვევა შეუძლია. კარგად ორგანიზებული და დაფინანსებული ბულინგის ქსელი, თავისი ანალიტიკური ცენტრით, მედიით, სოციალური ქსელებით, ბოტებით, ტროლებით და რეალური შემსრულებლებით ანადგურებს ყველანაირ განსხვავებულ მრწამსს და იბრძვის საზოგადოებრივ აზრზე გაბატონებისთვის. ამ აბლაბუდის წინაშე მარტოხელა ადამიანი სრულიად დაუცველია.

ბულინგი მძიმე წნეხია ადამიანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის და, ამავე დროს, საკმაოდ ეფექტიან გაფრთხილებას წარმოადგენს სხვების მიმართ, რომ არასასურველი მრწამსის მქონეთ პასუხი მოეთხოვებათ.

შორეული და უახლოესი წარსულის ტრაგიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ბულინგის და დაშინების მიმართ ჩვენ ისედაც საკმაოდ მოწყვლადი საზოგადოება ვართ. ჩვენს ცნობიერსაც და ზურგის ტვინსაც კარგად ახსოვს, რომ ხშირად მუქარა ლიტონ სიტყვებად კი არ რჩება, არამედ მას მოჰყვება პროცედურები, რომლის შემდეგადაც მოქალაქეები სახელმწიფოს ჩუქნიდნენ ქონებას; მანამდე კი იმავე პროცედურებით მიმდინარეობდა მრწამსის კვლევა, რაც ან მრწამსის შეცვლით მთავრდებოდა, ან — ეშაფოტით, ან — ორივეთი ერთდროულად. ასე რომ, ნუ გვიკვირს, როდესაც ადამიანები ამ სწორედ პროცედურების „მასტერების“ ბულინგს და მუქარას ექვემდებარებიან და სოლიდარობის გამოხატვას ერიდებიან — „მართლად იტყვის მოციქული, შიში შეიქმს სიყვარულსა!“

**ადამიანების ერთი ნაწილი თავს აჯერებს, რომ ნათელ მომავალს სწორედ ერთმანეთის დასმენით და სხვების მრწამსისა და მისწრაფების კონტროლით მივაღწევთ.**

მოღალატეების ძებნა, იარლიყების მიწებება და ბულინგ-ტერორი ყოველდღიურ ხელობად იქცა და ეს სულ უფრო ისტერიულ ხასიათს იღებს (კატასტროფაა, რომ ამ მანკიერებამ განათლების სისტემაშიც გაჟონა). „ენკავედეს“ არქივიდან გამოცოცდა კოლექტიური „დანოსების“ და შავი სიების თითქოს დავიწყებული პრაქტიკა, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანი შეითრიონ ამ მანკიერ წრეში. უნივერსიტეტებიდან ისევ აძევებენ ლექტორებს. ტრაგიკული ცინიზმია, რომ ქრისტიანობის სახელით ინკვიზიტორები წვავდნენ ადამიანებს კოცონზე, დღეს კი ევროპის და ლიბერალიზმის დროშებს აფრიალებენ ტროცკისტები, რომელთაც ერთი სული აქვთ, როდის მიაყენებენ ადამიანებს კედელთან. ღიად გაცხადდა მრწამსის და მისწრაფების კონტროლის აუცილებლობის შესახებაც — „მრწამსის პოლიცაი“ გვპირდება ტოტალურ თვალთვალს, დაშინებას, წამებას და ჯოჯოხეთს, რაც საქართველომ ბევრჯერ გაიარა.

რასაკვირველია, ამას არც ევროპასთან აქვს რაიმე საერთო, არც ლიბერალიზმთან და სინამდვილეში უმოკლესი გზაა ნეობოლშევიკურ-ნეოფაშისტური ქვესკნელისკენ, მაგრამ ტროცკისტებმა იმდენი მოახერხეს, რომ ზოგის თვალში ევროპა საფრთხობელადაც კი აქციეს.

როდესაც მწერალი კაცი სიმწრით შემოგჩურჩულებს, „მწერალი კაცი კოლექტიურ წერილებს ხელს როგორ უნდა ვაწერდე, მაგრამ ეს რომ ხმამაღლა ვთქვა, ხომ იცი, რა დღეშიც ჩამაგდებენო,“ — მის მრწამსს დედა აღარ ჰყავს და აღარც კონტროლი სჭირდება. ადამიანიც დანგრეულია.

**როცა ისტორიკოსი გეტყვის, ერეკლეს უსამართლოდ აგინებენ, მაგრამ თუ ძმა ხარ, არ გამრიო მაგ ამბავში, მაგათი თავი არ მაქვსო, კომენტარი აღარაა საჭირო — ათგალიანი ტრაგედიაა, თანაც უგმიროდ.**

ამ ყველაფერს დაფიქრება სჭირდება, მაგრამ თითქოს მოჯადოებულები ვართ, თითქოს ვიღაცამ ფიქრი აგვიკრძალა, ან იქნებ ჩვენით ავუკრძალეთ საკუთარ თავს?! საქართველოში, სადაც სიტყვის აბსოლუტური თავისუფლებაა და საჯარო სივრცეში, მედიაში, სოციალურ ქსელებში ყველანაირი ფორმა-შინაარსის ლანძღვა-გინება ისმის, მთლიანად დაიკარგა მსჯელობის, აზრის გაზიარების, დიალოგის და დისკუსიის კულტურა. მისი ადგილი დაიკავა ისტერიულმა მონოლოგმა. ეს შიშის ბრალიცაა!

როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ ვითარებაში?! ათასმეერთეჯერ დავადგეთ იმავე გზას, რომელიც კაცობრიობამ ათასჯერ გაიარა?!

ასე ცხვრებივით რიგში ჩავდგეთ და ვუცადოთ, როდის გამოგვიცხადებენ ჩვენი მრწამსის და მისწრაფებების ანალიზების პასუხებს?! ჩვენც „შპიონ ბავშვებად“ გადავიქცეთ და მოღალატეები და ხალხის მტრები ვეძებოთ?!

ან, იქნებ, მრწამსი შევიცვალოთ, დავასმინოთ მეგობრები, ავაღორძინოთ კოლექტიური „დანოსების“ პრაქტიკა, ვადგინოთ შავი სიები, გავაღვიძოთ ადამიანებში ყველაზე ქვენა გრძნობები, წავბილწოთ ყველა ეროვნული ფასეულობა და ვიქცეთ ახალ ადამიანებად. თუმცა, ყველაფერ ამას თუ ჩავიდენთ, გადავიქცევით მანქურთებად, რომელთაც აღარც მრწამსი აქვთ და აღარც — მისწრაფება.

იხ. 8 გვ.



# ლომჯარიას მეტი ორდენი აქვს თუ ბრეჟნევს?!






(მეოთხე გვერდიდან) – ლიბერალური ფაშიზმის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს, ნაციონალ ნინო ლომჯარიას ბრეჟნევივით კიდევს ორდენებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით;

– იმის შიშით, რომ ენჯეოების გამჭვირვალობის შესახებ კანონმა პოლარიზაციისა და ლიბერალური ფაშიზმის დაფინანსება შეიძლება, გააშიშვლოს, აგენტურის მეშვეობით აორგანიზებს პროტესტს ამ კანონის წინააღმდეგ;

– ევროპაში ინახავს ქართული ჯარის, ქართველი ბიზნესმენებისა და ევროპელი პენსიონერების ძარცვის ხარჯზე გამდიდრებულ კრიმინალ კეზერაშვილს, რომელსაც საქართველოში პოლარიზაციას შავი ფულით აფინანსებინებს;

– განსაკუთრებულ მხარდაჭერას გამოხატავს „ნაცმოძრაობისა“ და სხვა მაპოლარიზებელი პარტიების მიმართ. თითქმის ყველა ამერიკული და ევროპული სტრუქტურის კარი ღიაა ბოლშევიკური ტროიკისთვის – ვაშაძე-ჯაფარიძე-ხოშტარიასთვის, რომელიც ყველაზე აგრესიული და მაპოლარიზებელი რიტორიკით გამოირჩევა;

– საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ენჯეოების მეშვეობით, მათ შორის პარალელური ხმის დათვლის გაყალბებით, გაყალბებულად აცხადებს გაუყალბებელ საპარლამენტო არჩევნებს და არ ცნობს პარლამენტის ლეგიტიმაციას;

– ხელისუფლებას თავს ახვევს 19 აპრილის შეთანხმებას, რომლის მთავარი მიზანი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება და ნაცმოძრაობისთვის ძალაუფლების დაბრუნების კიდევ ერთი შანსის მიცემაა;

– დემონსტრაციულად არ ემიჯნება მაპოლარიზებელი პოლიტიკოსებისა და ენჯეოების რიტორიკას, რომელიც სანქციების დაწესებისკენ, უკრაინაში მოხალისეების გაგზავნისა და მეორე ფრონტისკენ არის მიმართული;

– უსამართლოდ არ გვაძლევს კანდიდატის სტატუსს და ღია მხარდაჭერას უცხადებს ამ უსამართლობაზე დაფუძნებულ მიტინგებს მთავრობის წინააღმდეგ, მთავრობის გადადგომის მოთხოვნით, სცენაზე გამოჰყავს მის მიერ ყველაზე გულუხვად დაფინანსებული ენჯეოები;

– არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, უკრაინის ხელისუფლების რესურსებით, საქართველოში ჩამოჰყავს მთავარი მაპოლარიზებელი – მიხეილ სააკაშვილი;

– ევროპარლამენტს 400-500 ხმით ამტკიცებინებს რეზოლუციებს, რომლებითაც ითხოვს ორი მთავარი მაპოლარიზებლის, მიხეილ სააკაშვილისა და ნიკა გვარამიას გათავისუფლებას;

– იმავე რეზოლუციებით ითხოვს ბიძინა ივანიშვილის დასჯას, რომლის ფაქტორი საქართველოში პოლარიზაციის წარმატების პრევენციაში გადამწყვეტ როლს ასრულებს;

– პოლარიზაციის გასაღვივებლად, ყველანაირად ცდილობს მმართველობის სისტემის სტიგმატიზაციას ისეთი ტერმინებით, როგორებიცაა „დემოკრატიული უკუსვლა“, „სახელმწიფოს მიტაცება“, „ოლიგარქიზაცია“, „კლანი“ და ა.შ.

ეს არის გლობალური ომის პარტიის პოლარიზაციისკენ მიმართული ქმედებების მხოლოდ არასრული ჩამონათვალი, რომლებსაც ის ამერიკული და ევროპული ოფიციალური სტრუქტურების მეშვეობით ახორციელებს.

რა მიზანს ემსახურება პოლარიზაციისა და სახელმწიფოს დასუსტების გამუდმებული მცდელობები, ამაზე დასკვნების გამოტანა საზოგადოებისთვის მიგვინდია.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენს თავს უნდა დავუსვათ შეკითხვა: ხომ არ არის საქართველოს უკრაინიზაცია, ანუ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა ის მთავარი მიზანი, რომლისკენაც ქართული პოლიტიკის ხელოვნური პოლარიზაცია არის მიმართული?“...

# მთვლემარე ვეშაპის გამოღვიძება

მაგრამ შეტევები, კორდონების გარღვევები და ტრუპები არ გამოუვიდათ, იმიტომ, რომ ის ზღვა ხალხი, ის ახალგაზრდობა მათ დაძახილზე არ იყო გამოსული და როგორ არ ეცადნენ, როგორ არ აბუნტეს ხალხი, საბოლოო მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს: ვერც ხელისუფლება დაამხეს და ვერც „ვივამედის“ პატიმარი გაათავისუფლეს, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, ქუჩაში გამოსული ხალხი არ მოქმედებდა მათი ბრძანებებისა და „ინსტრუქციების“ შესაბამისად.

რა მივიღეთ? ხელისუფლებასთან ხალხის დაპირისპირების ძალიან ცუდი პრეცედენტი: ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ფაქტობრივად ფეხქვეშ ნიადაგი ჰქონდა გამოცლილი, წელში გაიმართა; ოპოზიცია გარკვეული დროით გაერთიანდა; ქუჩაში საკუთარ ნებაზე მოქმედების სიტკბო შეიგრძნო ახალგაზრდობამ, ე. წ. ჯენზი თაობამ; პარლამენტი დატოვა უმრავლესობის რამდენიმე დეპუტატმა; კიდევ უფრო გაღრმავდა პოლარიზაცია; ერთმანეთის გინებამ წალეკა სოციალური ქსელები...

(მესამე გვერდიდან) მაგრამ შეტევები, კორდონების გარღვევები და ტრუპები არ გამოუვიდათ, იმიტომ, რომ ის ზღვა ხალხი, ის ახალგაზრდობა მათ დაძახილზე არ იყო გამოსული და როგორ არ ეცადნენ, როგორ არ აბუნტეს ხალხი, საბოლოო მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს: ვერც ხელისუფლება დაამხეს და ვერც „ვივამედის“ პატიმარი გაათავისუფლეს, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, ქუჩაში გამოსული ხალხი არ მოქმედებდა მათი ბრძანებებისა და „ინსტრუქციების“ შესაბამისად. ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა, როცა 8 მარტის ღამეს თავის სტიქიაში მყოფმა ჭიჭე ვაშაძემ ინიციატივა გამოიჩინა და თითქმის დასაშლელად გახაზირებულ ახალგაზრდებს მოუწოდა, პარლამენტს შემოარტყით ალყაო. მითითება შესრულდა და მას პოლიციასთან შებმა და რბევა მოჰყვა კიდეც. ნიშანდობლივი იყო, რომ როცა იგივე ვაშაძემ მეორე დღეს ლაღად წაატანა მიკროფონს ხელი, მას ის მიკროფონი გამოსტაცეს და იქიდან მიაბრძანეს კიდეც უბოდიშოდ.

**ისიც სათქმელია, რომ ხელისუფლების ყველა შტო როდი იდგა ერთად, მტკიცედ და უშეცდომოდ. მაგალითად, ქვეყანა რომ ქაფქაფა ქვაბს ჰგავდა და დაბეჯითებით ვერ იტყოდი, ხვალ რა მოსდებოდა, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს თავი აეღერებინა, ამერიკაში მოგზაურობდა და სადაც მოახელთებდა, საქართველოს ხელისუფლებას თათხავდა. ამ დროს სინანულით მახსენდებოდა მისი ინაუგურაციის დღე თელავში, როცა თბილისიდან აღევნებულმა ნაცისტური მოძრაობის საგანგებო მფრინავმა რაზმმა ასეთ საქმეებში ჭიპმოჭრილი დავით კირკიტაძის მეთაურობით ვერა და ვერ შეძლო პოლიციის კორდონების გარღვევა და დღესასწაულის ჩაშლა ერეკლეს სასახლეში.**

ვერ შეძლეს მიზნის მიღწევა, თუმცა, საზღვარგარეთ ბევრს, მათ შორის ევროკომისარს ვიოლა ფონ კრამონს, თბილისში მიმდინარე მოვლენები მაიდანს აგონებდა და, ალბათ, მაიდნისავე შედეგს ანატრებდა.

**დაგოლოს. 7-8-9 მარტი აშკარად განსაცდელის დღეები იყო, რაც არა და არ უნდა დაეშვა მმართველ გუნდს. უკვე საკომიტეტო და შემდეგ, საპარლამენტო განხილვაზე უფრო მეტად, აშკარად ჩანდა, რომ შეიძლებოდა ყველაფერი ცუდად დამთავრებულიყო, მით უფრო, რომ საზღვარგარეთი ავად აიჯაგრა. რომ განეჭვრიტათ და 8 მარტსვე გაეწვიათ ეს კანონპროექტი, არაფერიც არ მოხდებოდა, ისევე, როგორც მეორე დღეს, 9 მარტს არ მომხდარა არაფერი.**

ღირდა ეს კანონი (კი ბატონო, არარუსული და ქვეყნისთვის საჭირო, მაგრამ იმ მომენტისთვის აშკარად საჭოჭმანო) იმად, რაც მოხდა? ნამდვილად არა!

**რა მივიღეთ? ხელისუფლებასთან ხალხის დაპირისპირების ძალიან ცუდი პრეცედენტი: ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ფაქტობრივად ფეხქვეშ ნიადაგი ჰქონდა გამოცლილი, წელში გაიმართა; ოპოზიცია გარკვეული დროით გაერთიანდა; ქუჩაში საკუთარ ნებაზე მოქმედების სიტკბო შეიგრძნო ახალგაზრდობამ, ე. წ. ჯენზი თაობამ; პარლამენტი დატოვა უმრავლესობის რამდენიმე დეპუტატმა; კიდევ უფრო გაღრმავდა პოლარიზაცია; ერთმანეთის გინებამ წალეკა სოციალური ქსელები...**

ყოველივე ეს უნდა განეჭვრიტა, მაგრამ ვერ განჭვრიტა და ამით ბევრიც წააგო მმართველმა გუნდმა!..

**აქ უპრიანია იაპონელი ადმირალის სიტყვების გახსენება ამერიკული საზღვაო ბაზის პერლ ჰარბორის მოულოდნელი და წარმატებული დაბომბვის შემდეგ: ჩვენ მთვლემარე ვეშაპი გამოვაღვიძეთ!..**



**ალეკო ასლანიშვილი**
(599568186)

## ირაკლი კობახიძე:
# ბოლშევიკური „ტროიკა“ პირდაპირაა ჩართული ანტისახელმწიფოებრივ კამპანიაში...



**„ეს არის ერთგვარი ბოლშევიკური „ტროიკა“, ძალიან უხდება მათ ეს სახელი. ისინი ვერც მალავენ, რომ აწარმოებენ აგიტაციას, დადიან პირდაპირ ევროკავშირის დერეფნებში და აწარმოებენ კამპანიას კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ.**

**ეს არის ანტისახელმწიფოებრივი მოვლენა, ისინი პირდაპირ არღვევენ საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც თითოეული დეპუტატი უნდა იყოს პასუხისმგებელი ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით ნაბიჯების გადადგმაზე.**

**როცა ამ პირობებში ისინი პირდაპირ აწარმოებენ აგიტაციას კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ, ადრე აწარმოებდნენ აგიტაციას ვიზალიბერალიზაციის წინააღმდეგ, ეს ყველაფერი აჩვენებს მათ დამოკიდებულებას საკუთარი სახელმწიფოს, ქვეყნის მიმართ.**

**ისინი პირდაპირ არიან ჩართული ანტისახელმწიფოებრივ კამპანიაში, რომლის მიზანია, საქართველომ არ მიიღოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი“.**



# კაცი – სიკეთის ნათელი

## სიმონ ნოზაძე 70



**გულწრფელად ვულოცავთ ჩვენს მეგობარს, ჭეშმარიტ მამულიშვილსა და უღალატო კაცს სიმონ ნოზაძეს 70 წლის იუბილეს.**

ამ ასაკში ადამიანი უკან, განვლილი გზისკენ იხედება, უკვე გამოცდილი და გამოწრთობილი თვალი კიდევ ერთხელ აწონ-დაწონის ნაშრომსა და ნაამაგარს, გაკეთებულსა და გასაკეთებელს, გამარჯვებასა და მარცხს.

თამამად უსწორებს თვალს განვლილ ცხოვრებას ჩვენი იუბილარი.

იმისათვის, რომ ბოლომდე იგრძნო რას ნიშნავს საქმის სიყვარული, ერთგულება, კეთილსინდისიერება, რას ნიშნავს მოქალაქე და კიდევ მრავალი სიტყვა თითქოს უსიცოცხლოდ რომ გამოიყურება დახასიათების ფურცლებიდან, სიმონ ნოზაძეს უნდა იცნობდე.

ბატონი სიმონი არ ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებმაც ია-ვარდით მოფენილი გზა გაიარეს.

მშრომელ, პედაგოგთა ოჯახში აღზრდილი, არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ, ჯერ მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის, შემდეგ კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ხდება. იწყება სანატრელი სტიპენდიისა და სოფლიდან გამოგზავნილი ნობათის მომლოდინე სტუდენტური ცხოვრება...

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შრომით საქმიანობას იწყებს თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში ინჟინერ-კონსტრუქტორად; 1978-82 წლებში კომკავშირულპარტიულ სამუშაოზეა, პარალელურად ელექტროტექნიკის კათედრის ასისტენტია.

1982 წლიდან საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებშია, სადაც გაიარა გზა ოპერრწმუნებულიდან უშიშროების მინისტრის მოადგილემდე.

1994-98 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილე (ამჟამად ამ სამსახურის უფროსის კონსულტანტია).

2013 წლის ივლისში დაინიშნა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს უფროსად.

1999 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება, ხოლო 2015 წელს – სახელმწიფო დაცვის გენერალ-მაიორის წოდება.

2016-2020 წლებში იყო საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ თავმჯდომარე.

ამ მშრალი ბიოგრაფიული ცნობების მიღმა ფრიად საინტერესო, მრავალმხრივ განათლებული, ერუდირებული პიროვნება დგას.

თითქმის 30-50 წელია სიმონს ვიცნობთ და სხვა რომ არა იყოს, ამ ხნის განმავლობაში, როგორც იტყვიან, ის ერთი ფუთი მარილიც შემოგადნება ხელში, ადამიანის გასაცნობად რომ არის საჭირო.

კარგი ადამიანის შესამკობად ბევრი მშვენიერი სიტყვა მოგვეპოვება ქართველებს. მარტო გულთან დაკავშირებით რამდენი კომპოზიციაა შექმნილი: გულალალი, გულგახსნილი, გულღია, გულწრფელი, გულშემატკივარი, გულთბილი... ძნელია ყველა ამ თვისებით აღიჭურვოს ერთი ადამიანი, ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არაა და ამის მაგალითია ჩვენი სიმონი.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ სიმონის საოცარი სიყვარული და, რაც მთავარია, დიდი ცოდნა ჩვენი ისტორიისა და ლიტერატურისა.

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ მაგალითად, ქართულ ლიტერატურაზე საუბრისას იგი მსჯელობს როგორც სპეციალისტი და ეს არაერთ ფილოლოგს აღუნიშნავს, ვისაც მისთვის მოუსმენია. ამის დასტურია მის მიერ წაკითხული საჯარო ლექციები გრიგოლ ხანძთელზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, ნიკო ლორთქიფანიძეზე, ილიასა და ვაჟაზე... სიტყვით გამოსვლები თანამედროვე მწერლების წიგნთა განხილვისას, სატელევიზიო დისკუსიებში მონაწილეობა საქართველოს ისტორიის საჭირბოროტო საკითხებზე (წელს დაისტამბება მისი კრიტიკული წერილებისა და სამეცნიერო გამოცემებზე დაწერილი რეცენზიების კრებული).

## მხნე იყავ და გაძლიერდი!

და ამას ახერხებს კაცი, რომელმაც ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: „სამწუხაროდ მე თავის დროზე ხეირიანად არც კი მისწავლია ქართული ენა და ლიტერატურა, რადგან ტექნიკუმში სულ 70 საათი ეთმობოდა IX-X კლასის პროგრამას.““

ეს ფაქტი, გარდა თავმდაბლობისა, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „დიდ არს ძალი სიყვარულისაი,“ რომელიც შეუძლებელს შესაძლებლად ხდის.

ეს სიყვარული განსაკუთრებით რუსთაველთან, „ვეფხისტყაოსანთან“ დამოკიდებულებაში ვლინდება, მაგრამ აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ სიმონის თაოსნობით 1993 წელს დაარსდა „ვიქტორ ნოზაძის საზოგადოება“ (ამჟამად ამ საზოგადოების პრეზიდენტია) და მისი თაოსნობით და მონაწილეობით გამოიცა ოთხი ტომი ვიქტორ ნოზაძის შრომებისა „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო. გამოსაცემად მზადდება მე-5 და მე-6 ტომი.

ბატონი სიმონი არის გამოჩენილ მამულიშვილზე დიმიტრი ყიფიანზე გადაღებული მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის იდეის ავტორი და ორგანიზატორი.

ცალკე საუბრის საგანია სიმონ ნოზაძის საპარლამენტო საქმიანობა, გულწრფელი ზრუნვა ხაშურსა და ხაშურელებზე, ეს ყველაზე უკეთ ხაშურელებმა იციან და აქ აღარას ვიტყვით, აღვნიშნავთ მხოლოდ, მიუხედავად მწვავე გამოსვლებისა, პოლემიკისა, არასოდეს გადასულა ზღვარს, არ შეულახავს ოპონენტის ღირსება.

შორს წაგვიყვანს საუბარი მის მოღვაწეობაზე სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, რომელიც უაღრესად გამწვავებულ შიდაპოლიტიკურ ფონს დაემთხვა. ხშირად უხდებოდა ურთულესი მისიის შესრულება ქვეყნის ყველაზე ცხელ წერტილებში. ალღოსა და გამოცდილებას მინდობილი, უფლის ნებით, ურთულესი ვითარებიდანაც ღირსეულად გამოსულა.

„...ვცდილობდი საკუთარ თავში გამომენახა შინაგანი ენერგია პრობლემების გადასაწყვეტად, ცხოვრებამ პრაგმატულ აზროვნებას მიმაჩვია, მიზნად არასოდეს ვისახავ დაუძლეველი ამოცანების შესრულებას. მიჭირს თქმა, თითქოს გაცნობიერებული მქონდა, რომ ქვეყანას ვჭირდებოდი, ვგრძნობდი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნით ნდობას მიცხადებდნენ და ვცდილობდი პირნათლად შემესრულებინა ჩემი მოვალეობა“ – იტყვის მოგვიანებით სიმონ ნოზაძე.

მისი მოუშუშებელი ჭრილობა 9 აპრილი და სოხუმის დაცემაა.

„9 აპრილის ტრაგედიისას დაბნეულობის პირველი წუთების გავლის შემდეგ მომხდარის გაცნობიერებამ უმძაფრესი პროტესტის გრძნობა გამიჩინა, რამაც ჩემი მსოფლმხედველობა ძირეულად შეცვალა... მძაფრი იყო სოხუმის დაცემით გამოწვეული განცდა. განცდა შეურაცხყოფის და უმწეობისა. აფხაზეთის პრობლემა თუ ვერ გადაიჭრა, მთელი მომდევნო ისტორიის მანძილზე საქართველომ, სავალალოდ, ამ ტკივილით უნდა იაროს“.

მწარე, მაგრამ რეალობაა სიმონ ნოზაძის ეს სიტყვები.

სულმნათი აკაკი წერდა: „ქალი ბურჯი და ქვაკუთხედია როგორც კერძოდ ოჯახის, ისე საზოგადოებისაც, მისი ქვეყნის, მისი სამშობლოსი. ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს.“

სიმონ ნოზაძისადმი მიძღვნილ წერილში არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი ოჯახი და უპირველესად მეუღლე – ქალბატონი მარიამ ხიმშიაშვილი, რომელმაც შესანიშნავი შვილები აღუზარდა ქვეყანას და რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის სიმონის წარმატებებში და ეს არც არის გასაკვირი. ციხე-სიმაგრეებთან ერთად ქართველი ქალის კდემამაც ხომ გადაარჩინა საქართველო.

ჩვენი მილოცვა თავად იუბილარის სიტყვებით გვინდა დავამთავროთ, ერთ-ერთი წიგნის განხილვისას რომ მიმართა ავტორს:

„შემოდგომა მოგვდგომია კართან, – თვალსა და ხელს შუა გაფრენილან, ნოემბრის ქარებისგან აწრიალებული ფოთლებივით გაფანტულან წლები, გაზაფხულის სურნელი შემორჩენია ზოგ მოგონებას, შემოდგომის ქარვაში ჩაკირულა ზოგიც...

მაგრამ შემოდგომა ხომ მხოლოდ ზამთრის მოახლოებას არ ნიშნავს, ან რა სახსენებელია ზამთრის სიცივე, როცა შეგიძლია მწველი მზით გაუთბო ადამიანებს გული, როცა ვარდისფერი მძლავრობს ირგვლივ და სიკეთის ნათელი დასდგომია შენს ნამოქმედარს“...

კიდევ ერთხელ გილოცავთ!

როგორც დიდი ილია იტყოდა: **„მხნე იყავ და გაძლიერდი.“**

**ვახტანგ ქუთათელაძე, შენგელი ფიცხელაური, გია არაბიძე, ნუგზარ ბაბუციძე, ავთანდილ ბერძენიშვილი, ანდრო გოგსაძე, თემურ გრძელიძე, ლენა კაპანაძე, გოგი ლეჟავა, მალხაზ ლომსაძე, ზაზა მაზმიშვილი, ამირან მარიამიძე, მურმან მურადაშვილი, სერგო ნიკოლეიშვილი, ალიკო ნოზაძე, ირინა ნოზაძე, ჭაბუკა ნოზაძე, მარინა რაზმაძე, ვახტანგ საბახტარიშვილი, ვაჟა უსანეთაშვილი, თენგიზ უჯმაჯურიძე, ზიზი შუბითიძე, რამაზ ხარაზიშვილი, ზურაბ ჭულუხაძე.**

# სამთო მომზადების ზამთრის საბაზისო კურსი დასრულდა



**ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის (PFP) ფარგლებში სამთო მომზადების ზამთრის საბაზისო კურსი დასრულდა. ნატოს წევრი და არაწევრი 6 ქვეყნის 25 სამხედრო მოსამსახურე სამთო მომზადებას სამი კვირის განმავლობაში ბაკურიანში გადიოდა.**

პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ქართველმა ინსტრუქტორებმა ქართველ და უცხოელ სამხედრო მოსამსახურეებს სამთო აღჭურვილობის მოხმარების წესები, თხილამურებით სრიალი, ზვავში მოყოლილი ადამიანის ძებნისა და ევაკუაციის ტექნიკური მეთოდები, დაშავებულისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენა, თხილამურებით დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა და თოვლის თავშესაფრის მოწყობა შეასწავლეს. კურსის განმავლობაში სამხედროებმა ტაქტიკური მარშიც განახორციელეს.

საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში კურსის გამოშვების ცერემონიას წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლის მოადგილე, პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი და სამთო მომზადების სკოლის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი ივანე ცხადაძე დაესწრნენ. მალხაზ მერლანმა კურსდამთავრებულებს სიტყვით მიმართა, კარიერული წინსვლა უსურვა და ყურადღება მრავალეროვნული სამხედრო სწავლებების ჩატარების მნიშვნელობაზე გაამახვილა.

კურსდამთავრებულებს სამთო მომზადების ზამთრის საბაზისო კურსის დასრულების აღმნიშვნელი სერტიფიკატები და სამკერდე ნიშნები გადაეცათ.



# მრწამსის კონტროლის ანატომია

(მეხუთე გვერდიდან)

საქართველო საუკუნეების განმავლობაში იმიტომ ელტვოდა ევროპასთან კავშირს, რომ მსოფლმხედველობრივად და კულტურული თვალსაზრისით ქრისტიანული და ევროპული ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენდა. ქართველები ევროპულ ცივილიზაციაში ხედავდნენ თვითმყოფადობის და იდენტობის შენარჩუნების სივრცეს.

მაგრამ თუ ყველაფერზე ხელი ავიღეთ, ჩვენი მრწამსი და მისწრაფება სხვას გადავაბარეთ, სამშობლოზე უარი ვთქვით, ისტორიის დღიურიდან ფურცლები ამოვხიეთ, დავივიწყეთ, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ, მამა მოვკალით და დედა დავახრჩეთ, ასეთ გადაგვარებულებს და გამანქურთებულებს ევროპაში კი არა, ანტარქტიდაში პინგვინებიც არ მიგვიღებენ. თუმცა, მანქურთისთვის სულერთია, ევროპაში იქნება თუ ზოოპარკში.

კაცობრიობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შერცხვენით, დამუნათებით, ფსიქოლოგთა კონსულტაციებით და ცრემლებით ბულინგის მანქანის და „მრწამსის პოლიციაის" შეჩერება შეუძლებელია.

**ხელისუფლებისადმი მოწოდებებიც არაფრისმომცემია, ხელისუფლებას საკუთარი თავის ტკივილები და ჭვალები აწუხებს და არც რაიმე ქმედითი მექანიზმი გააჩნია. ერთადერთი, ვინც შეძლებს, რომ ამ ბოროტებას წინ აღუდგეს, არის ნამდვილი, თვითორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოება, რისი გამოცდილებაც ნაკლებად გვაქვს, მაგრამ მეტი რა ჩარაა, გზადაგზა უნდა ვისწავლოთ.**

**უნდა გავაცნობიეროთ, რომ საქმე გვაქვს ისეთ აქლემთან, რომელიც ყოველ ოჯახს მიადგება და მრწამსის შეცვლას მოსთხოვს, ამიტომ სამოქალაქო სოლიდარობის ფრონტი უნდა გაიშალოს და ბულინგის ტერორის წინაშე მარტო და დაუცველი არავინ უნდა დარჩეს. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ყველა ადამიანი საინტერესოა თავისი განსხვავებული აზრით და როდესაც თრგუნავენ ერთ მოქალაქეს, ამით თრგუნავენ და ასუსტებენ მთელ საზოგადოებას. სოლიდარობის გამოსახატად უნდა გამოვიყენოთ ადამიანური ურთიერთობები, მედია, სოციალური ქსელები და სამოქალაქო აქტივობის ყველა ფორმა, რათა რეალურად ვიგრძნოთ და დავინახოთ, რომ ეს ჩვენი სამშობლოა და ძალა ერთობაშია.**



**ვასილ მაღლაფერიძე**

## უნგრეთმა ევროკავშირს პუტინის გამო უგანა

**უნგრეთმა ჰააგის სასამართლოს მიერ ვლადიმერ პუტინის დაკავების ორდერის შესახებ ევროკავშირის წევრების ერთობლივი განცხადება დაბლოკა,** – შესაბამის ინფორმაციას სააგენტო „ბლუმბერგი" ავრცელებს. ბუდაპეშტის ვეტოს გამო აღნიშნული განცხადება საკუთარი სახელით გამოაქვეყნა ევროკავშირის მთავარმა დიპლომატმა, ჯოზეფ ბორელმა.

გარდა ამისა, ევროკავშირის იუსტიციის მინისტრებმა ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილების მხარდამჭერი გაცხადება გაავრცელეს, რომლისთვისაც უნგრეთს ასევე არ მოუწერია ხელი. როგორც მოსალოდნელია, რუსეთის პრეზიდენტის დაკავების ორდერის საკითხი წარმოდგენილი იქნება ბრიუსელში 23-24 მარტს დაგეგმილი ევროკავშირის სამიტის დასკვნით განცხადებაში.

## საფრანგეთში საპენსიო რეფორმა დამტკიცებულია – გაფიცვები გრძელდება

**საფრანგეთის პარლამენტში უნდობლობის ვოტუმის ჩავარდნის შემდეგ პარიზისა და სხვა ქალაქების ქუჩებში საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. დედაქალაქის ცენტრში დემონსტრანტებმა დაწვეს ნაგვის ურნები, პოლიციამ რამდენიმე ადამიანი დააკავა. პოლიციასა და მომიტინგეებს შორის შეტაკება მოხდა ქალაქ ლილში. სამართალდამცველებმა იქ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. დემონსტრაცია იყო ქალაქ ბორდოშიც.**

პროფკავშირები საპენსიო რეფორმის წინააღმდეგ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას ხუთშაბათს გეგმავენ. უნდობლობის გამოცხადების შესახებ კენჭისყრა საფრანგეთის პარლამენტში მას შემდეგ ჩაინიშნა, რაც პრეზიდენტმა პარლამენტის ქვედა პალატის გვერდის ავლით დაამტკიცა საპენსიო სისტემის ცვლილების სადავო კანონი. სამი პარტიის მიერ ინიცირებული კენჭისყრის დროს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას 278-მა დეპუტატმა მისცა ხმა. ოპოზიციას მხოლოდ ცხრა ხმა დააკლდა მთავრობისთვის უნდობლობის გამოსაცხადებლად. ამგვარად, საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, საპენსიო რეფორმა დამტკიცებულად ითვლება.



# დიდი ბანკების კოლაფსი

**ფინანსურ-ეკონომიკურ ჩავარდნებს მსოფლიოში, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოლო აღარ უჩანს, რომლის უახლესი მაგალითი ცნობილი Silicon-Valley-Bank-ია. განმარტებისთვის, ჩრდილოეთ კალიფორნიის რეგიონი, Silicon-Valley, არის მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გლობალური ცენტრი, რომლის მთავარი ფინანსური ნავსაყუდელი სილიკონ-ველი-ბენკ იყო! 10 მარტს არსებობა შეწყვიტა ბანკმა, რომელიც ყოველთვის ამაყობდა დივერსიფიკაციით, სამართლიანობითა და ინკლიზიურობით. მაგალითად, უპირობოდ უჭერდა მხარს ეგრეთწოდებულ Gay-Pide-ს, ანუ, პოზიტიურ განწყობას ლგბტ-ს მიმართ, თუმცა, კოლაფსი მაინც ბანკის ხარვეზიან მართვას დაბრალდა.**





სილიკონ-ველი-ბენკს არანაკლები მნიშვნელობის კიდევ ორი ამერიკული ბანკი, Signature Bank და Silver-gate-bank, მიჰყვა. თავის დროზე, სილიკონ-ველი-ბენკი თავბრუდამხვევი წარმატებით განვითარდა, რომლის დეპოზიტების მოცულობა 60-დან 200 მილიარდ დოლარზე ავიდა. მოძლიერებისთანავე, სილიკონ-ველი-ბანკი ინვესტიციებს ნაკლებად სარისკო აქტივებში აბანდებდა. შეიძინა დიდი რაოდენობის სახაზინო და იპოთეკური ფასიანი ქაღალდები, თუმცა, ფედერალური რეზერვის მიერ საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან ერთად, ბანკის ინვესტიციების ღირებულებაც შემცირდა. აღნიშნული ბანკების გაკოტრება ზოგადი ფინანსური კრიზისის ფონზე მოხდა: სახელმწიფოს მიერ ინფლაციის საწინააღმდეგო ზომების გატარების შედეგად, ობლიგაციების ფასები მკვეთრად დაეცა, რამაც სილიკონ-ველი-ბანკის მეანაბრეების პანიკა გამოიწვია.

პანიკას კი, ბანკიდან ფულის მასიურად გატანა მოჰყვა. შესაბამისად, ანაბრების დაზღვევის ფედერალურმა კორპორაციამ ბანკი თავისი კონტროლის ქვეშ გადაიყვანა და მისი დახურვა გამოაცხადა. რაც შეეხება, Signature Bank-ს, ის კრიპტოვალუტის მფლობელებში იყო ძალიან პოპულარული. მისი აქტივები 110 მილიარდ დოლარს უდრიდა. ბანკს ადრეც მიადგა ზარალი, მაგრამ, ახლა, სილიკონ-ველი-ბანკის ირგვლივ შექმნილმა პანიკამ საბოლოოდ გაანადგურა. ბუნებრივია, ბანკების დახურვას განგაში მოჰყვა უოლ-სტრიტზე, რამაც ამერიკელ მომხმარებელში არც თუ უსაფუძვლო კითხვები გააჩინა, ზოგადად, ქვეყნის საბანკო სისტემას ხომ არ აქვს პრობლემები. იქნებ, 2008 წლის მსოფლიო ფინასური კრიზისი მეორდება! დარგის ანალიტიკოსები ოპტიმისტურად ამტკიცებენ, რომ კრიზისი სექტორული ხასიათისაა, და არ უშვებენ ზოგადი დეფოლტის შესაძლებლობას. ასევე ოპტიმისტურად განაცხადა ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომიკის დარგში, პოლ კრუგმანმა, რომ 2008 წლის კრიზისი არ გამეორდება.

ამერიკის მთავრობამ მაინც დაიზღვია თავი და ბანკების გაკოტრებით გამოწვეული პრობლემების დაძლევა საკუთარ თავზე აიღო. ამერიკის ფედერალური სარეზერვო და დეპოზიტების დაზღვევის კორპორაციამ განაცხადა, რომ გაკოტრებული ბანკების მეანაბრეები და, ზოგადად, ბეგარის გადამხდელები ზარალისგან დაცული იქნებიან. ამერიკელებს შეუძლიათ დამშვიდდნენ, რადგან, ჩვენი საბანკო სისტემა და მათი დეპოზიტები უსაფრთხოდაა. გავაკეთებთ ყველაფერს, რაც საჭირო იქნება, გაამხნევა ხალხი ამერიკის პრეზიდენტმა. ჯო ბაიდენის იმედიანი გამოსვლა ნაწილობრივ იმასაც ეყრდნობოდა, რომ ამ ბანკების გაკოტრებით ამერიკის სხვა მსხვილმა ბანკებმა ნახეს დიდი მოგება: მოსახლეობას ერთბაშად გადააქვს ფული პატარიდან დიდი ბანკებში. კარგა ხანია, ასეთი რამ არ მომხდარა ამერიკაში.

მოგებულ ბანკებს შორისაა J.P.Morgan, Citibank და Bank-of-America. ამერიკული ფინანსური კრიზისი სხვა ქვეყნებსაც გადასწვდა: გერმანიაში, ინგლისში, ისრაელში და ინდოეთში დაეცა საბანკო აქციები. მაღალი ტექნოლოგიების ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა ისრაელი, სილიკონ-ველი-ბანკს ერთ-ერთ ყველაზე სანდო საინვესტიციო ბანკად მიიჩნევდნენ. ისრაელის პრემიერმა განაცხადა, რომ მომავლში ქვეყნის ბიზნესი საკუთარ ბანკებს უნდა დაეყრდნოს. ისრაელის მთავრობა ყურადღებით აანალიზებს, საჭიროა თუ არა ქვეყნის საფონდო ბირჟის საქმიანობაში ჩარევა.

ინდოეთშიც დაიძაბა ვითარება, სადაც სტარტაპების 60 პროცენტს სილიკონ-ველი-ბანკში ჰქონდა ფული დაბანდებული. იაპონიასა და ჩინეთში ნაკლებად იგრძნობა ამერიკული ფინანსური კრიზისის შედეგები, მაგრამ, პრევენციული ზომების მიღებას მაინც ფიქრობენ. არის აზრი, რომ სახელწიფოს ჩარევებით მსოფლიომ ფინასური კრიზისი თავიდან აიცილა, თუმცა, მომავლისთვის, ეს საკმარისი არ იქნება. რომაელებს აქვთ ნათქვამი: Si vis pacem, para bellum – მშვიდობა თუ გინდა, ომისთვის ემზადეო...



**ნუგზარ ბ. რუხაძე,**
POSTV

# ვინ არის ლევ ლანდაუ?

XX საუკუნის უდიდეს ფიზიკოსს, ნობელის პრემიის ლაურეატს ლევ ლანდაუს (1908-1968) ძალიან უყვარდა აფორიზმებით ლაპარაკი, რომელთაგან ბევრი თავისი მოგონილი იყო. ამ კრებულში თავმოყრილია ლანდაუს სწორედ ეს აფორიზმები და გამონათქვამები. კრებული შედგენილია დონისროსტოველი ჟურნალისტის ნინო გოგიტიძის მიერ („ფენიქსი“).

ლევ ლანდაუ 1908 წელს დაიბადა ბაქოში, შეძლებული ინჟინერ-მენავთობის დავით ლანდაუს ოჯახში. მასწავლებლები ლანდაუებთან შინ დადიოდნენ. ბავშვებს ასწავლიდნენ მუსიკას, რიტმიკას, ხატვას.

პატარა ლევს ბავშვობიდანვე იტაცებდა მათემატიკა. გიმნაზიაში 8 წლის შევიდა. რუსულ კაზმულ სიტყვიერებაში მოიკოჭლებდა. ეს ამბავი მასწავლებელმა ლევის მამას შესჩივლა.

მამა:

— ლევ, ნუთუ არ შეგიძლია, რომ წესიერი ნიშანი მიიღო ისეთ ადვილ საგანში, როგორც კაზმული სიტყვიერებაა?

ლევი:

— არის ზოგი საგანი, რომელშიც წესიერი ნიშნის მიღება სირცხვილია.

მამა:

— მოვითხოვ, რომ ეს საქმე მალევე გამოასწორო.

ლევი:

— შენ ძალადობ, მამა, ყოველგვარი ძალადობა კი არასაკადრისი და უღირსი საქციელია.

ლევი ბავშვობიდანვე მიხვდა, რომ ადამიანს, თუ მოინდომა, დიდად გაძლიერება ძალუძს და თავის ბედსაც თავის ჭკუაზე წარმართავს.

1922 წელს 14 წლის ბიჭი ბაქოს უნივერსიტეტის ორ განყოფილებაზე აბარებს გამოცდებს, 1924 წელს კი ლენინგრადის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გადადის.

უნივერსიტეტის დამთავრებამდე ექვსი თვით ადრე ლანდაუმ გამოაქვეყნა მეცნიერული ნაშრომი და განათლების სამინისტრომ ხანგრძლივი ხნით მიავლინა ევროპაში, სადაც არაერთი სასწავლებელი ურჩევდა დარჩენას, მაგრამ ლანდაუს ყველასთვის ერთი და იგივე მტკიცე პასუხი ჰქონდა: „არა, მე ჩემს ქვეყანაში უნდა დავბრუნდე და იქ შევქმნათ მსოფლიოში ყოვლის უკეთესი მეცნიერებაო“.

1927 წელს ლევ ლანდაუ შედის ლენინგრადის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც მალევე გაითქვა სახელი. მეცნიერები თავიანთ კვლევებში ლანდაუს სტატიებს იხსენიებდნენ.

1932 წელს ლანდაუ ხარკოვში გადადის, ხოლო უკვე 1933 წელს მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში ტექნიკური ფიზიკის კათედრის გამგე ხდება. ხარკოვში ლანდაუმ დაიწყო თავისი ცნობილი სემინარი ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის, რომელთაც ფიზიკოსთეორეტიკოსობას უწინასწარმეტყველებდა.

1937 წლის დასაწყისში ლანდაუ მოსკოვს გადადის, სადაც მუშაობას იწყებს კაპიცას ფიზიკურ პრობლემათა ინსტიტუტში. მოსკოვში მან შეიტყო, რომ ხარკოვში დაეპატიმრებინათ და დაეხვრიტათ მისი რამდენიმე მეგობარი ფიზიკოსი და თავის ორ ამხანაგთან ერთად დაწერა ანტისაბჭოური ფურცელი. 1938 წელს ლანდაუ თავის მეგობრებთან ერთად დაიჭირეს.

პეტრე კაპიცამ წერილი პირადად სტალინს გაუგზავნა, სადაც სწერდა: „ვაღიარებ, რომ ლანდაუს ნამდვილად ცუდი ხასიათი აქვს. მალე იცის აფეთქება და წონასწორობის დაკარგვა. მაგრამ ის იმდენად ნიჭიერია, რომ მისი უდროოდ დაკარგვა დიდი დანაკლისი იქნებოდა სამამულო მეცნიერებისთვისო“. 1939 წლის აპრილში ლანდაუ გაათავისუფლეს კაპიცას პირადი თავდებობის ქვეშ.

1940 წელს ლევმა ცოლად შეირთო ხარკოველი კორა დრომანცევა, რომელთან ერთადაც შესანატრი ოჯახი შექმნა, ეყოლათ ვაჟიშვილი იგორი. ლანდაუ გულგრილი იყო ყოფა-ცხოვრების წვრილმანების მიმართ. ჩაცმადახურვას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. თუ არა მეუღლის მზრუნველობა, ლევს თავისდაუნებურად შეეძლო დაჭმუჭნილდასრესილი ტანსაცმლითა და ჭუჭყიანი ფეხსაცმლით გარეთ გამოსვლაც და რომელსამე სხდომაზე დასწრებაც.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ლევ ლანდაუს მემკვიდრეობას განსაზღვრავენ არა მარტო ის შრომები, რომელთა გამოც მან ნობელის პრემია დაიმსახურა, არამედ იმისავე თეორიები ბედნიერებაზე. ეს თეორიები ადამიანებს ეხმარებიან ცხოვრების გზის დაძლევაში. ლანდაუს მიზანი იყო, რომ დედამიწაზე რაც შეიძლება მეტი ბედნიერი ადამიანი ყოფილიყო. იგი საოცრად მხიარული და გულღია ადამიანი იყო. იგი დღესაც ცოცხალია თავისი გენიალური ნააზრევით.

## ასე იტყოდა ლევ ლანდაუ

## „ჩემს ცხოვრებაში წუთი რა არის, წუთიც არცროდის არსად არ დამიგვიანია“



### ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

## ...ცხოვრებაზე

სუყველას აქვს იმისთვის საკმარისი ძალა, რომ ღირსეულად განვლოს ცხოვრების გზა, ხოლო იმაზე ლაპარაკი, თუ რა ძნელ და რთულ დროს გვიხდება ცხოვრება, ეს ვირეშმაკური ხერხია ჩვენი უმოქმედობის, სიზარმაცის და ნაირ-ნაირი უხალისობის გასამართლებლად. საჭიროა მუშაობა და დაინახავ, რომ დროება იცვლება.

* * *

ყოვლის უფრო საშინელი ცოდვა მოწყენილობაა! ერთხელაც დადგება განკითხვის ჟამი და უფალი მოგვკითხავს: „რატომ არ იგემე სიამენი სოფლისა? რატომ იყავი მოწყენილი?“

* * *

ვერცვის სულს ვერ შეარხევ, უკეთუ მოწყენილად და უღიმღამოდ ლაპარაკობ.

* * *

მთავარია, ყოველივე, გატაცებით მოახელსაქმო, თუ გინდა, რომ სიხარული მუდამ თან გახლდეს.

* * *

უბედურება იქნებ შემთხვევითადაც დაგატყდეს თავს. ბედნიერება არც იღბალია და არც ზეგარდმო წყალობა, ბედნიერება სათნოებაა ან დამსახურება.

* * *

არაფრისგან არაფერი არ წარმოდინდება.

* * *

ჩვენი ცხოვრების ხანმოკლეობის გამო ჩვენს თავს იმის ფუფუნების უფლებას ვერ მივცემთ, რომ ისეთი საკითხებით დავგულისყურდეთ, ახალ შედეგს რომ არ გვპირდებიან.

* * *

თუ ფილმი მოსაწყენია, ვერცრა რეჟისორული „მიგნება“ ვერ გადაარჩენს იმას ჩემს თვალში. თვითონ ამ ტერმინს ვერ ვიტან.

* * *

სამი ნიშან-თვისებაა, რის მიხედვითაც ირჩევენ საჩუქარს: დიდი, ძვირფასი, უსარგებლო.

* * *

თუ ამა თუ იმ საკრებულოში მოვხვდი, ეგრევე გუნება მიძმარდება.

* * *

არცრა ისეთი სისულელე არ არის, ინტელიგენტმა კაცმა რომ არ ირწმუნოს.

* * *

ინგლისურის ცოდნა აუცილებელია! თვით ყოვლის უფრო გონებაჩლუნგმა ინგლისელებმაც კი არ იციან ის ცუდად.

* * *

საზღვარგარეთ ცხოვრება მცირე ხანს კარგია. მე ყოველთვის შინისკენ მიმიწევს გული.

* * *

მთავარია — ვისწავლოთ ცხოვრებით გახარება.

* * *

ოპერა არაბუნებრივი რამ არის, ადამიანები ცხოვრებაში ცოცხალი მეტყველებით ურთიერთობენ და არა სიმღერით.

* * *

სუყოველმა თავად უნდა აირჩიოს, როგორ უნდა იცხოვროს.

* * *

მირჩევნია, რომ თუნდაც ხუთი წუთი ვილაჩრო, ვიდრე მთელი ცხოვრება გვამად დავრჩე.

* * *

ჩემს ცხოვრებაში წუთი რა არის, წუთითაც არცროდის არსად არ დამიგვიანია.

* * *

მანამ, სანამ ახალგაზრდობას ველტვი, თავს ბებრად არ მივიჩნევ. როგორც კი ეს ლტოლვა დამიცხრება, ეგრევე დავბერდები.

* * *

ბუმ ბუს წააძახა, შე დიდთავაო.

* * *

ადამიანთა შორის ურთიერთობა რთული რამ არისო, რომ ამბობენ, მოგონილი ამბავია. უნდა ვისწავლოთ ცნებების „რთულიას“ და „ძნელიას“ ერთმანეთისგან გარჩევა. ეგრევე გულზე მოგვეშვება.

* * *

იუბილეებზე ყოველთვის თავპირი ჩამოგვტირის: ვირივით ვსხედვართ და ვუსმენთ, როგორ გვაქებენ.

* * *

ლანდაუ წინააღმდეგი იყო, რომ შვილი იგორი (გარიკი) რეპეტიტორთ ემეცადინებინათ: „მან სკოლაში ათი წელიწადი ისწავლა, ეგრევე, მოუმზადებლად უნდა ჩააბაროს საკონკურსო გამოცდა უნივერსიტეტში, თუ კონკურსი ვერ გაიარა, მაშასადამე, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის უნარი არ გააჩნია. მაშინ გარიკი სადმე წარმოებაში უნდა წავიდეს სამუშაოდ. უმაღლესი სასწავლებლის დანაგვიანება არ შეიძლება. იქ უნარიანმა, ნიჭიერმა ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს და არა რეპეტიტორებთან მომზადებულმა“.

* * *

სიზუსტე მეფეთა თავაზიანობაა. თუმცა თქვენი მეფობა საეჭვოა.

* * *

ფაშიზმი საერთაშორისო ბორროტებაა. ეს ყველას ეხება.

* * *

სამყარო ფრიად საყურადღებო და საგულისხმო რამ არის... ის უამრავ გამოცანას შეიცავს და ეს ყოველივე უნდა შეიცნოს ადამიანმა, უცოდნელად, და თუ არა ჯიუტი შრომით, სამყაროს შეცნობა შეუძლებელია.

* * *

ანეკდოტი მარგებელია, იმიტომ, რომ მარგებელია სიცილი. მოსაწყენი სიტყვისა და მოსაწყენი გამომეტყველებისა გამო საჭიროა დაჯარიმება.

* * *

საჭმელს მაშინ ვჭამ, თუ გემრიელია, თუ არადა, არა ვჭამ. როდის რა ჭამე, ამის დამახსოვრება ძნელი საქმეა. ინტელექტი ჭეშმარიტად არ ემეგობრება კუჭს.

* * *

ლანდაუ ნახულ სპექტაკლზე:

„არ შეიძლება, რომ მავანი ბოროტი აგრერიგად გულმისავალი იყვეს... კი, ბატონო, თუ ვინმე შეიყვარა, ალალი იყოს, მაგრამ არარაობა შეუყვარდა. იდეა ცუდი არ არის, მაგრამ გადამლაშებულია. გამოდის, რომ არამზადის გამართლება გვინდა მაყურებლის თვალში“.

* * *

წითელი ყოვლის უფრო ლამაზი ფერია ბუნებაში, რევოლუციონერებმა ტყუილად როდი აირჩიეს წითელი დროშა.

* * *

მოვიტყუო? რატომ? სიმართლის თქმა ბევრად იოლია, მაშინ არცროდის კისერს არ წავიმტვრევ.

* * *

ლანდაუ დანაზოგის თაოგაზე:

„თუ სულს გავაცხებ, კორა გვარიან პენსიას მიიღებს და მერე აუცილებლად სიკვდილის შემდგომ მომანიჭებენ ლენინურ პრემიას. ბევრ მეცნიერს ყელში ვყავარ გაჩხირული, ბევრი ცრუმეცნიერი ცდილობს ყალბი ნაშრომის გამოქვეყნებას, მაგრამ ჩემი დიდი შიში აქვთ. სიკვდილის შემდგომ ჩემთვის ლენინური პრემიის მონიჭებას, ვიცი, ერთხმად დაუჭერენ მხარს და კორას ერთბაშად დიდძალი ფული აღმოაჩნდება. ასე რომ, ახლა ფულის დაგროვებას არც არავითარი აზრი არა აქვს ჩვენთვის. ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, თუ რაღაც ჭაღების, ბროლის, ძვირფასი სერვისებისა და სხვა სრულიად უსარგებლო საგნების ნაცვლად კორა ისწავლიდა კარგ ადამიანთათვის ფულის დარიგებას. ალბათ, არის სადმე მავანი წესიერი კაცი, ვინც მოტოციკლეტის ყიდვაზე ოცნებობს, ფულის დაგროვების საშუალება კი არა აქვს: დიდი ოჯახი ჰყავს სარჩენი და უცებ ერთ მშვენიერ დღეს იღებს რომელიმე გარუნ-ალ-რაშიდის საუკეთესო მოტოციკლეტის საყიდელ თანხას!“

* * *

სისულელე ბევრია, გონივრული რამ კი ცოტა.

* * *

ადამიანს უნდა უყვარდეს თავისი პროფესია, თავისი ხელობა. სხვაგვარად ის ვერასოდეს ბედნიერი ვერ იქნება, გატაცებით ვერ იმუშავებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საცოდავი ხვედრი ელის.

* * *

მოხელსაქმეგულის დაფასება უნდა ვიცოდეთ და არა ჩავლილ-გავლილის გამო წუხილი.

* * *

ბევრად სჯობს თავი მოიბედნიერო, ვიდრე უბედური იყვე.

* * *

ყოველდღე უნდა ვაშენებდეთ და ვქმნიდეთ ჩვენს ცხოვრებას. ჩვენ მაგივრად ამას სხვა ვერ იზამს და მუდმივად უნდა ვესწრაფოდეთ ბედნიერებას, ეს ადამიანის ვალდებულებაა, ვალია. კიდევ მეტი, თითოეულმა უნდა ვისწავლოთ ჩვენ-ჩვენი ცხოვრებით სიხარული.

**(გაგრძელება იქნება)**

◉ რაგბი ჩვენი თამაშია!

# უკვე – ევროპის სამხრეთშიც

**მაშ ასე, უკვე ზედიზედ მეექვსედ და სულ ტურნირის ისტორიაში მეთხუთმეტედ (პირველად – ახალი ფორმატით) საქართველოს ეროვნული ნაკრები რაგბი ევროპის ჩემპიონი გახდა, თანაც სიმბოლურია, რომ სატიტულო ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება ბორჯღალოსანთათვის საიუბილეო – მეასე გახლდათ, ხოლო წაუგებელ მატჩთა რაოდენობა 29-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია ჩვენი გუნდის ცენტურიონის – ალექსანდრე თოდუას ინდივიდუალური მიღწევაც – იგი მეცამეტედ დაეუფლა ტიტულს.**

გუნებრივია, **ლევან მაისაშვილის** შეგირდთა მორიგი წარმატება სათანადოდ აისახება საერთაშორისო რეიტინგზეც – ისინი 2006 წლის სეზონში ნაჩვენებ საუკეთესო შედეგს გაიმეორებენ და ელიტური ათეულის მისადგომებთან – მეთერთმეტე პოზიციაზე აღზევდებიან.

სასიამოვნოა, რომ ეს ხდება საფრანგეთში გასამართავ მსოფლიოს თასამდე რამდენიმე თვით ადრე, რომელსაც წინ ზაფხულში დაგეგმილი ეგრეთწოდებული გასახურებელი სამი ტესტ-მატჩი უძღვის რუმინეთთან, აშშ-თან (ორივე თბილისში) და შოტლანდიაში, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბობოლებთან – იტალიასა და უელსთან შარშან მოგებული დიდგორის სადარი ისტორიული ბრძოლებით თამასა ისე მაღლა ავწიეთ, რომ ბევრმა შეიძლება ესპანური ტრიუმფის მნიშვნელობა დააკნინოს კიდეც, მაგრამ...




ჯერ ერთი, დასაფასებელია თითოეული წინგადადგმული ნაბიჯი და, რაც მთავარია, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ უდიდეს გამარჯვებებს წინ შედარებით მჭლე წარმატებები უძღვის.

წერილი ბორჯღალოსანთა საამაყო ციფრებზე საუბრით დავიწყეთ და მეტოქის სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს წამოჭიმულ პატარა ქალაქ ბადახოსში მომხდარ არანაკლებ წონიან ფაქტსაც შევაწიოთ ორიოდე სიტყვა: დიახ, დუბლის ავტორმა **აკაკი ტაბუცაძემ** უკვე 27 ლელოს მოუყარა თავი და ამ მაჩვენებლით თვით მამუკა გორგოძეს გაუთანაბრდა. ასე რომ, მალე ახალი რეკორდსმენი გვეყოლება.

### საქართველო – პორტუგალია 38:11

**პირველი ტაიმი 12:11**

**საქართველო** (15-9): ნინიაშვილი, ტაბუცაძე, თაფლაძე, შარიქაძე (კაპიტანი), თოდუა (კახოიძე), აბჟანდაძე (მატკავა), ლობჟანიძე (აფრასიძე); (1-8): აბულაძე (გოგიჩაშვილი), მამუკაშვილი (ჭყოიძე), გიგაშვილი (პაპიძე), ჭეიშვილი (ჩაჩანიძე), მიქაუტაძე, ცუცქირიძე (ჯალაღონია), საღინაძე, გორგაძე (მატჩის საუკეთესო მოთამაშე).

**6 ლელო:** ტაბუცაძე (2), მამუკაშვილი, ჭყოიძე, პაპიძე, თაფლაძე.

**4 გარდასახვა:** აბჟანდაძე (2), მატკავა (2).

**სინბინი:** შარიქაძე, ლობჟანიძე.

**მსაჯი:** ლუდოვიკ კეირი (საფრანგეთი).

რაც შეეხება თვით შეხვედრას, სტატისტიკიდანაც ჩანს, რომ თითქმის სამშობლოში მოთამაშე პირენეელებმა მხოლოდ შესვენებამდე გაგვიწიეს ღირსეული წინააღმდეგობა, მეორე ტაიმში კი ტრადიციული კერკეტი კაკალი უმოწყალოდ გავტეხეთ და სანახაობას მოტივაცია ჩავუკალით.

მოკლედ, მოსახდენი კიდევ ერთხელ მოხდა.

**გილოცავთ!**

◉ სეზონის სტარტზე

# ბათუმიდან – ფორუმისკენ



**როგორც იქნა, დასრულდა გაჭიანურებული ზამთრის არდადეგები და ევროპაში სანაკრებო სეზონი ბრუნდება – რამდენიმე დღეში ვილი სანიოლის გაწვრთნილი ჯვაროსნები ბათუმში ჯერ ეგზოტიკურ მონღოლეთთან გამართავენ ამხანაგურ მატჩს, ხოლო შემდეგ კონტინენტის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის სასტარტო შეხვედრაში იქვე ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტ ნორვეგიას უმასპინძლებენ, რომელსაც უკანასკნელ მომენტში ტრავმირებული ჰოლანდი გამოაკლდა.**

რასაკვირველია, ჩვენ პატივს ვცემთ მეტოქეთა ღირსებას, მაგრამ უპირველესად საკუთარ გუნდზე შეგვტკივა გული, ამიტომაც ამჯერად მასზე ვისაუბრებთ.

### საქართველო

**მეკარეები:** ლორია, მამარდაშვილი, გუგეშაშვილი;

**მცველები:** კაშია, კაკაბაძე, კობახიძე, კვირკველია, აზაროვი, გოჩოლეიშვილი, ტაბიძე, საზონოვი, დვალი, წიტაიშვილი;

**ნახევარმცველ-თავდამსხმელები**: კვეკვესკირი, მექვაბიშვილი, გაგნიძე, აბურჯანია, ჩაკვეტაძე, ლობჟანიძე, დავითაშვილი, კვარაცხელია, მიქაუტაძე, ვოლკოვი, ზერიძე, ზივზივაძე, სიგუა.

ალბათ, ბევრს გაგიკვირდათ, რომ წიტაიშვილი მარცხენაფლანგელთა დეფიციტის ფონზე მცველთა შორისაა მიწვეული, მაგრამ სწორედ უკანა ხაზს უკავშირდება კიდევ უფრო კურიოზული ფაქტი.

საუბარია **დავით ხოჭოლავაზე**, რომელიც ტრავმირებული მუხლის გამო უკანასკნელ მომენტში კობახიძემ შეცვალა. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ კვირას როგორღა ითამაშა კოპენჰაგენის მაისურითო – იკითხავთ, ალბათ. როგორც ირკვევა, ეს გამაყუჩებლების დამსახურებაა, ყველაფერი კი ბარსელონის კლინიკაში დაგეგმილი ოპერაციით უნდა დასრულდეს. ისე, მართლაც საინტერესოა, როგორ გაიხსნება კვანძი.

მიაქციევდით ყურადღებას, რომ ამჯერად გამოძახებულთა შორის არ არის **კიტეიშვილი**, რომელიც ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ შტურმს სწორედ გასულ უქმეებზე დაუბრუნდა. ამ შემთხვევაში ნაკრების მწვრთნელმა არ გარისკა და ახალგამოჯანმრთელებულ ლეგიონერს სარეაბილიტაციო პერიოდის ბოლომდე მიყვანის საშუალება მისცა. მსგავს ვითარებაშია **ლოჩოშვილიც**.

სამაგიეროდ, საწვრთნელ შეკრებაზე ახალ პარტნიორებს პირველად შეუერთდა თბილისის „დინამოს“ 17 წლის ნახევარმცველი **გაბრიელ სიგუა**, რომელსაც იღბლიან დებიუტსა და კარიერას ვუსურვებთ.

დაბოლოს – მასპინძელთა ჯოკერ **ხვიჩა კვარაცხელიას** შესახებ, რომელმაც სამშობლოში გამომგზავრებამდე კიდევ უფრო გამოიკეთა ხასიათი, ნაპოლის დადგმულ მორიგ შოუში სოლიდური წვლილი მის მიერვე გამომუშავებული პენალტის გატანით, აგრეთვე ოსიმენის დუბლის ასისტენტობით შეიტანა და ვიმედოვნებთ, არც აჭარაბეთ არენაზე შეასრულებს ნაკლები წარმატებით ლიდერის ფუნქციას.

◉ ტრიუმფი

**იტალიის ქალაქ პიზაში გამართული მსოფლიო თასი, სადაც პლანეტის საუკეთესო ეტლით მოფარიკავეები ასპარეზობდნენ, საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების ტრიუმფით დასრულდა.**

ჩინელთა და ტაილანდელთა შემდეგ ჩვენმა გოგონებმა პოლონეთის უძლიერეს გუნდს ფინალში 45:30 მოუგეს და ოქროს მედლები მოიპოვეს. მსოფლიო თასის გამარჯვებულები ირმა ხეცურიანი, ნინა თიბილაშვილი და გვანცა ზადიშვილი გახდნენ.



# ოქრო ეტლით

◉ ლეგენდა



# კიბოსაც სძლია

**ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა მარტინა ნავრატილოვამ კიბოს ავადმყოფობა დაამარცხა. ამის შესახებ მან პირს მორგანთან ინტერვიუში განაცხადა: „რამდენადაც ექიმებისთვის არის ცნობილი, მე კიბო აღარ მაქვს“.**

66 წლის ლეგენდამ აღიარა, რომ მკურნალობა ყველაზე რთული გამოცდა იყო მის ცხოვრებაში. ყოფილ სპორტსმენს კიდევ მოუწევს რამდენიმე კვირა სხივური თერაპიის გავლა, მაგრამ მხოლოდ პროფილაქტიკური მიზნით.

2022 წლის ნოემბერში ნავრატილოვამ შეამჩნია, რომ ყელის არეში ლიმფოკვანძი ჰქონდა გადიდებული. საავადმყოფოში მას ხორხისა და მკერდის კიბოს ადრეული სტადია დაუდგინეს.

მარტინა ნავრატილოვა პროფესიულ ჩოგბურთს 1975-2006 წლებში თამაშობდა. მან ერთეულებში 167 და წყვილებში 177 ტიტული მოიგო. ორივე მიღწევა ყველა დროის აბსოლუტური რეკორდია ქალებსა და მამაკაცებში.

# ორიოდე სიტყვით

### კალათბურთი.

**იტალიის სერია „ა“.** ოლიმპია (მილანი) – ვირტუსი (ბოლონია) 69:75. ლიდერთა მატჩი 11 ქულით დაასრულა **თორნიკე შენგელიამ** და მისი გუნდი ერთპიროვნულად დაწინაურდა სატურნირო ცხრილში.

### წყალბურთი

**თბილისი.** 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. **I ადგილი** – საქართველო (მწვრთნელები – თამაზ კუტივაძე, კოკა გიორგაძე, ზურაბ ჭუმბურიძე). ფინალურ რაუნდს 8-15 აგვისტოს თურქეთის ქალაქი მანისა უმასპინძლებს, სადაც მასპინძლებთან და ჯვაროსნებთან ერთად ითამაშებენ სერბეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ესპანეთი, ხორვატეთი, მონტენეგრო, იტალია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, გერმანია, რუმინეთი, უკრაინა, მალტა და პოლონეთი.

### თავისუფალი ჭიდაობა

**ბუქარესტი** (რუმინეთი). ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატი. ბოლო დღე. **ოქრო** – ანდრო მარგიშვილი (92). **ბრინჯაო** – გიორგი გოგრიჭიანი (74). სულ ახალგაზრდა ქართველმა ფალავნებმა რუმინულ ხალიჩაზე 6 მედალი მოიპოვეს – 1 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო, ხოლო გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავეს.

### ხელბურთი

**ხორვატეთი.** 2-13 აგვისტო. 19-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრა. საქართველოს ნაკრების მეტოქეები ჯგუფურ ეტაპზე ნორვეგია, მონტენეგრო და ჩრდილოეთ მაკედონია იქნებიან. ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელია **გიორგი გვაზავა**, ხოლო გუნდის უფროსი – **ბექა ორჯონიკიძე.**

თენგიზ ქავთარაძე და ზაურ ფხალაძე მწუხარებით იუწყებიან, ღირსეული პიროვნების, ცნობილი სპორტსმენის

## მამუკა ასისოს ძე სხიერელის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ნათელში იყავ, დიდო ჩემპიონო!

ხვალ, 23 მარტს,

## რაფო ჩიმიშკიანის

დაბადების დღეა (94 წ.) და ჩვენ პირველად უშენოდ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს.

დიდი ჩემპიონი და უდიდესი კაცი იყავი — ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

სს „გრინერი“-ს (ყოფილი სს „თბილისის მაკარონის ფაბრიკა“) კოლექტივის სახელით

იური ოსიპოვი,
ზურაბ კუპრაშვილი,
23 მარტი 2023



## როცა ალალი ცრემლის ღირსი ხარ

### მიხეილ ვასილის ძე ოსაძის ხსოვნას

ბევრი ისე მოდის ამქვეყნად და ისე მიდის, მარტო ოჯახის წევრები თუ აცილებენ ცრემლით. ამ ადამიანთაგან განსხვავებით, არიან ალალი ცრემლის ღირსნიც, ვის სიკვდილსაც მთელი საზოგადოება იგებს და დამწუხრებული ოჯახის წევრებს გვერდში უდგანან, თავიანთ ცრემლებს ერთ დიდ სიყვარულად აგროვებენ და სამუდამო ხსოვნის სამარედ იტოვებენ თავიანთ გულებში.

სწორედ ასეთ ადამიანთა არცთუ დიდ რიცხვს მიეკუთვნება გენერალი მიხეილ ვასილის ძე ოსაძე, რომელიც 23 მარტს 80 წლისა გახდებოდა და თავისი სიცოცხლის 67 წელიწადი თავისი ქვეყნის უანგარო სამსახურს მოანდომა. ნეკროლოგში ხშირად გადაჭარბებული ეპითეტებია, რაც მიხეილ ოსაძის მიმართ, ჭეშმარიტად უმწიკვლო კაცური კაცის მიმართ, შეფასების ყოველგვარი ეპითეტი მოიკოჭლებს.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა უშიშროების კომიტეტში. იყო ბორჯომის, ქუთაისის, თბილისის უშიშროების უფროსი, უშიშროების კომიტეტის სამმართველოს უფროსი, შემდეგ მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ. ხალხმა იგი ორჯერ აირჩია მაჟორიტარად საქართველოს პარლამენტში, როგორც თავისი მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც ნამდვილად სახალხო დეპუტატად მკლავებდაკაპიწებული ემსახურებოდა თავის ქვეყანას. ბევრი დეპუტატისგან, ვითომ დეპუტატისგან განსხვავებით, მიხეილ ოსაძეს თავისი ყოველდღიური შრომით და ღვაწლით მოპოვებული ჰქონდა თავისი ამომრჩევლის პატივისცემა და ნდობა.

მართალია, მიხეილი ცამეტი წლის წინ აღესრულა, მაგრამ მის მიმართ საზოგადოების პატივისცემა არ განელებულა. ამ პატივისცემის დასტურია თუნდაც ეს მცირე, მაგრამ დიდი სიყვარულის დამტევი წერილი. შენ ფიზიკურად წახვედი ჩვენგან, მაგრამ სულიერად ისევ ჩვენთან ხარ და ჩვენთან იქნები, სანამ თუნდაც შენს მეგობართაგან ცოცხალი ვიქნებით.

თენგიზ ქავთარაძე, ვახტანგ კიკნაძე, დემურ გადელია, ვიტალი ხაზარაძე, ვახტანგ ყოლბაია, კოტე ყიფიანი, გურამ გუნავა, პეტრე ბერაია, ბესო კილასონია, ლაერტ ზუბადალაშვილი, მურიკო თოფურიძე, რომა ღვინიაშვილი, სამველ მარსაგიშვილი, ჯამბულ წულაია, თემურ კალანდაძე, რომან დალაქიშვილი, უშანგი დალალაშვილი, გურამ ვახტანგიშვილი, ალეკო ჯიბლაძე, ალან თოდუა, მამუკა ჩხაიძე, ირაკლი ლოლაშვილი, რომან კვაჭაძე.

## ინფორმაცია, თითქოს სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში გეგმური შემოწმება ახალგაზრდების დაშინებას ისახავს მიზნად, სიმართლეს არ შეესაბამება...



„გაცნობებთ, რომ 2023 წლის 15 და 16 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდქალაქის ბაგების საერთო საცხოვრებელში ვაკის რაიონის მართლწესრიგის ოფიცრების მიერ განხორციელდა მოსახლეთა გეგმური აღწერა, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. ბოლო დღეებში, ზოგიერთი მედიასაშუალების მხრიდან გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს აღნიშნული გეგმური შემოწმება სტუდენტების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა და მიზნად ისახავს ახალგაზრდების დაშინებას, სიმართლეს არ შეესაბამება და მხოლოდ სტუდენტებისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული სტუდენტის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო და საერთო საცხოვრებლის სივრცეებში. ამ მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თანამშრომლობს შესაბამის უწყებებთან.

მოგახსენებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ადმინისტრირებას უწევს სტუდქალაქის ბაგების საერთო საცხოვრებელს. აღნიშნული საერთო საცხოვრებლით ძირითადად სარგებლობენ თსუ-ს სტუდენტები და ნაწილობრივ თსუ-ს თანამშრომლები“, – აღნიშნულია თსუ-ს განცხადებაში.

თსუ-ს განცხადებით, მსგავსი ინფორმაცია საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება.

## კეზერამ თავდაცვის სამინისტროს ზიანი უნდა აუნაზღაუროს...

ტელეკომპანია „ფორმულას“ დამფუძნებლის დავით კეზერაშვილის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და კეზერაშვილს თავდაცვის სამინისტროსთვის ზიანის ანაზღაურებისთვის 5 მილიონი ევრო დააკისრა.

გადაწყვეტილება მოსამართლეთა კოლეგიამ მიიღო. გადაწყვეტილებით სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი.

ცნობისთვის, დავით კეზერაშვილსა და ალექსანდრე ნინუას საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფოს დიდი ოდენობით ფულადი თანხების მითვისება/გაფლანგვის ფაქტზე ჰქონდათ ბრალდება წარდგენილი.

საქმე ეხებოდა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანია „GIRWOOD BUSINESS CORP“-ის სასარგებლოდ გარკვეული მომსახურების გაწევის მიზნით დიდი ოდენობით თანხის გადარიცხვას, თუმცა სამინისტროს ეს მომსახურება (წვრთნები) არ მიუღია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 7 სექტემბრის გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე დავით კეზერაშვილი და ალექსანდრე ნინუა ცნობილ იქნენ დამნაშავეებად. ამავე განაჩენით დადგინდა, რომ აღნიშნული პირების ბრალეული ქმედებით თავდაცვის სამინისტროს მიადგა 5 060 000 ევროს ოდენობით მატერიალური ზიანი.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (როგორც დაზარალებულმა პირმა) აღნიშნული პირების მიმართ სამოქალაქო სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში სამინისტროზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

## ქონებას მოტყუებით დაეუფლნენ...

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა 20 პირის მიმართ დაიწყეს, რომელთაგან ერთი ყოფილი მოხელეა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა 2020-2021 წლებში, შიდა ქართლის რეგიონში, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, ცრუ მოწმეების დახმარებითა და ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შედეგად, მოტყუებით დაირეგისტრირეს, საერთო ჯამში 302 906 ლარის ღირებულების 44 396 მ2 ფართობის 10 მიწის ნაკვეთი.

გამოძიების პროცესში მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული მიწის ნაკვეთები დაყადაღებულ იქნა. მიმდინარეობს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები მათი სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების მიზნით. დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას **6-იდან 9 წლამდე** ვადით.

## სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები ქვემო ქართლში

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი დოხტურიშვილმა რეგიონში სამელიორაციო სისტემებზე არსებული მდგომარეობა სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს.

შეფასდა მუნიციპალიტეტების მიხედვით განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოები. საუბარი შეეხო პროექტებს, რომლის განხორციელებასაც საქართველოს მელიორაცია მიმდინარე წელს დაიწყებს. რეგიონში 9000 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, 2023 წელს დაგეგმილია 20 მლნ ლარამდე ღირებულების სარეაბილიტაციო პროექტების დაწყება.

დღეისათვის, ქვემო ქართლის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 15,7 მლნ ლარის ღირებულების 9 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს. შედეგად, დამატებით, 2500 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგულარულად მოირწყვება, სარწყავი წყლის მიწოდება 900 ჰექტარზე გაუმჯობესდება.




# გიწვევთ ლელა დვალის პერსონალურ გამოფენაზე

**საქართველოს კულტურის ფონდი მიმდინარე წლის 25 და 26 მარტს მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში" აწყობს მხატვარ ლელა დვალის ნამუშევართა პერსონალურ გამოფენას.**

**„მუზა"-ს საგამოფენო დარბაზი 25 მარტის დღის 15 საათიდან ღონისძიების გახსნაზე გეპატიჟებათ.**




# ბავარიისხელა სამოთხე...

**პოპულარული გერმანული გამოცემა BILD მკითხველს საქართველოში მოგზაურობას ურჩევს.**

გამოცემა გაზაფხულსა და ზაფხულში საინტერესო სამოგზაურო ტურისტულ მიმართულებებს აქვეყნებს. სტატიის ავტორის მტკიცებით, გერმანელი ტურისტებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველია ესპანეთის, კაბო-ვერდეს, ხორვატიის, ალბანეთისა და საქართველოს კურორტები.

**„საქართველოს ტერიტორია ბავარიისხელაა, მოსახლეობა კი ბერლინის. საქართველოს უნდა ეწვიოთ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის წელს ITB-ის ტურისტული გამოფენის მასპინძელი იყო. მიუნხენიდან და დიუსელდორფიდან თბილისამდე ოთხი საათია საფრენი. პირდაპირი ავიარეისები სრულდება ბერლინიდან, მემინგენიდან და დორტმუნდიდან ქუთაისის მიმართულებით",** – წერს BILD საქართველოს შესახებ. BILD-ის გვერდებს სოციალურ ქსელებში: Twitter, Facebook, Instagram ჯამში 5.5 მილიონზე მეტი მიმდევარი ჰყავს.

# ეკოაქტივისტის აღიარება



**შვედი ეკოაქტივისტი გრეტა ტუნბერგი ჰელსინკის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა. ტუნბერგთან ერთად სხვადასხვა სამეცნიერო დარგში საპატიო დოქტორის წოდებები ფინეთის პრეზიდენტ საული ნიინისტოს და კიდევ 28 ადამიანს მიენიჭა.**

20 წლის გრეტა ტუნბერგს საპატიო დოქტორის წოდება თეოლოგიის ფაკულტეტმა მიანიჭა.

**„საპატიო დოქტორად გრეტა ტუნბერგის არჩევით, ჩვენ ვაცხადებთ, რომ გვსურს, ისეთივე გამბედავები და გავლენიანები ვიყოთ, როგორიც ისაა",** – განაცხადა ჰელსინკის უნივერსიტეტის პროფესორმა მარტი ნისინენმა.

# ერთად ვძლიოთ ვერაგ სენს!




**თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, ცნობილი ქართველი მუსიკოსების მონაწილეობით, კონცერტი გაიმართა.**

ღონისძიება საქართველოში კიბოს სკრინინგის პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით, ეროვნული სკრინინგ ცენტრის ინიციატივითა და ა(ა)იპ „ქართული მუსიკის ცენტრის" მხარდაჭერით დაწყებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ ქართველი მუსიკოსები და შემსრულებლები: **ნანი ბრეგვაძე, ნიკა ნიკვაშვილი და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი, ნინო სურგულაძე, ნატო მეტონიძე, ეკა მამალაძე, ნატალია ქუთათელაძე, ანსამბლი „შვიდკაცა", კონსტანტინე ყიფიანი, გიორგი ლომისელი და თიკუნა წიქარიშვილი.**

მუსიკოსებმა პოპულარული ნაწარმოებების შესრულების გარდა, საზოგადოებას კიბოს სკრინინგის ჩატარებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდეს. ღონისძიებას ესწრებოდა თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი და ეროვნული სკრინინგ ცენტრის დირექტორი ეთერ კიღურაძე.

საინფორმაციო კამპანიის მიზანია, საზოგადოებას სრულიად ახლებურად დაანახოს კიბოს სკრინინგის ჩატარების მნიშვნელობა, ერთნაირად ჩართოს პროცესში ყველა სფეროს წარმომადგენელი, იქნება ეს სახელოვნებო სფერო, ბიზნესსექტორი თუ სხვა. ამასთან, წვლილი შეიტანოს სიმსივნური დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკის, პრევენციისა და სკრინინგული პროგრამების პოპულარიზაციის საქმეში.

# „კრედიტ სუისი" „იუბიესმა" შეისყიდა

**საერთაშორისო ფინანსურ ბაზარზე პანიკის შესაჩერებლად შვეიცარიული ბანკი „კრედიტ სუისი" უმსხვილესმა შვეიცარიულმა ბანკმა, „იუბიესმა" შეისყიდა.**

შვეიცარიის ეროვნული ბანკის ინფორმაციით, შვეიცარიის მთავრობის შუამდგომლობით გაფორმებული შეთანხმება ფინანსურ სტაბილურობას უზრუნველყოფს.

„იუბიესი" გადაიხდის სამ მილიარდ შვეიცარიულ ფრანკს (3,25 მილიარდი აშშ დოლარი) „კრედიტ სუისის" შესასყიდად – დაახლოებით 60 პროცენტით ნაკლებს, ვიდრე ბანკის ღირებულება იყო. პარასკევს, ბაზრების დახურვისას. გარიგების დროს „კრედიტ სუისის" აქციონერებს ხმის უფლება ჩამოართვეს. ისინი მიიღებენ ერთ აქციას „იუბიესში" ყოველ 22,48 აქციაზე, რაც მათ საკუთრებაშია და რასაც ბანკი 3,15 მილიარდ დოლარად აფასებს. 17 მარტს, ბაზრების დახურვისას „კრედიტ სუისი" დაახლოებით რვა მილიარდ დოლარად იყო შეფასებული.



# ფინეთი - უბედნიერესი ქვეყანა

**მსოფლიოში ყველაზე ბედნიერ სახელმწიფოდ, World Happiness Report-ის რეიტინგით კვლავ ფინეთი დასახელდა.**

ტელეარხის ცნობით, ფინეთი რეიტინგის ლიდერი ზედიზედ მეექვსედ გახდა. პირველ ათეულში ასევე შევიდნენ: **დანია, ისლანდია, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, შვეიცარია, ისრაელი, ლუქსემბურგი და ა.შ. საქართველო რეიტინგში 90-ე ადგილზეა.**

რეიტინგის შედგენისას ექსპერტები ითვალისწინებენ ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, სოციალური მხარდაჭერა, კორუფციის დონე, მშპ ერთ სულ მოსახლეზე, სოციალური სისტემების მუშაობის ხარისხი, თავისუფლების ხარისხი და სხვა.


საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა" გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932


**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 24 მარტს**

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5763; ევრო - 2.7564;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1446;
100 რუბლი - 3.3416; თურქული ლირა - 0.1367;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5177;
1000 სომხური დრამი - 6.6314

**ამინდი 22 მარტისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე +17 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +11 |
| თბილისი: | ღამე | 0, | დღე +18 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge